ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ეროვნული უნივერსიტეტი

29 ოქტომბერი, სამშაბათი, 2013 წ., №14

დავით უსუფაშვილი:

ვლადიმერ პაპავა სულ ცოტა ხნის წინ შეუდგა ძალიან მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობაზე მუშაობას, რასაც ამ უნივერსიტეტის რექტორობა ჰქვია. ყველა უნივერსიტეტელს ვულოცავ ამ გამარჯვებას. დარწმუნებული ვარ, ამ კედლებში სასიკეთო ცვლილებებს ყველა თანაბრად ვიგრძნობთ. მე, პირადად, როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, მიგულეთ თქვენს მხარდამჭერად, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუბრუნდეს არა მხოლოდ ძველი დიდება, არამედ ჰქონდეს კიდეც მას დიადი მომავალი. ამის შექმნა იმ პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების საქმეა, რომლებიც დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობენ.

განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა — კვლევის შედეგად დასახელებული პრიორიტეტები საქართველოსთვის

მე-2 გვერდზე

MY WORLD. THE UNITED NATIONS GLOBAL SURVEY FOR A BETTER WORLD.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველოში ჩატარებული გლობალური გამოკითხვის „MyWorld/ჩემი სამყარო“ შედეგები წარმოადგინა. გამოკითხვის პირველადი შედეგების პრეზენტაცია 24 ოქტომბერს თსუ-ში გაიმართა.



როლანდ თოფჩიშვილი ფალსიფიცირებული ისტორიის წინააღმდეგ

უნივერსიტეტში ხმაურიანი პრეზენტაცია სწორედ ამ წიგნს სჭირდება. როლანდ თოფჩიშვილი გაყალბებულ ისტორიას დასაბუთებული არგუმენტებით ებრძვის. სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის რეალობა, რომ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიები ოდითგან ქართველთა განსახლების არეალი იყო. ამის შესახებ ფაქტობრივ მასალას გვაწვდის თსუ-ის პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი თავის ახალ წიგნში — „სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან“. ამ ნაშრომის პოპულარიზაცია, სამწუხაროდ, მავანთა ინტერესებში შეიძლება სულაც არ შედიოდეს. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ კი იმ იდეის მხარდამჭერად გამოდის, რომ ეს წიგნი სომხურად, რუსულად და ინგლისურადაც ითარგმნოს, რათა ჩვენს მეზობლებს საქართველოს ტერიტორიებზე პრეტენზიები ეგეგ აღარ ჰქონდეთ...

მე-7 გვერდზე

ქრონიკა

გვ. 12-13

ნომერში

მრჩეველთა საბჭოს ხელწერა..... 2-4

პროფესორთა ჯგუფის კონსტრუქციული დიალოგის მოლოდინი ადმინისტრაციასთან..... 5

რა მიზნით მუშავდება აკადემიური პერსონალის აქტივობების შეფასების წესი?..... 6

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ოქროს ხანა..... 15

პრობლემების აქტუალიზაცია და რექტორის წინადადებები

გვ. 3

სტუდ-ფეხი

სტუდენტური ჩანართი

გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას?.....8

რა საიდუმლოს მალავს საერთო საცხოვრებლის კედლები?.....8-9

1 წელი სტუდენტური აქციებიდან.....9

უნივერსიტეტის მიმართ დღეს დიდი მოლოდინი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი კვლავ დაიბრუნებს ძველ ადგილს და ავტორიტეტს. როგორც თქვენ ბრძანეთ, რადგან რექტორი რეაგირებს დასმენებზე და უარყოფით განწყობებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინტრიგულ პოზიციებს წახალისება აღარ ექნება უნივერსიტეტში და რომ ამგვარი მოქმედებებისთვის სტიმული აღარ იარსებებს. თანაც, როდესაც პირველი პირისგან მოდის უარყოფითის აკრძალვა, იქ დადებითი ემოციები და კეთილი თვითგამოვლინებანი მძლავრობს ხოლმე — სიკეთის ფილოსოფიას სწორედ ასეთ გარემოში ეყრება ხოლმე საფუძველი.

მე-11 გვერდზე

გვ. 5

ხელფასების გათანაბრების პრინციპი არ არის ამოსავალი. მე არ მომიტყუებია არავინ და ჩემს წინასაარჩევნო პერიოდშიც არავისთვის მითქვამს, რომ ვემხრობი გათანაბრების პრინციპს. რაც შეეხება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც 4 ოქტომბერს აკადემიურმა საბჭომ მიიღო, დროებითია. ახლო მომავალში კი ანაზღაურების წესის არსებით შეცვლას ვგეგმავთ.

განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა — კვლევის შედეგად დასახელებული პრიორიტეტები საქართველოსთვის

პირველი გვერდიდან

კვლევა უკვე ჩატარდა მსოფლიოს 194 ქვეყანაში და მასში მონაწილეობა 650 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მოქალაქეებს შეთავაზებული 16 საკითხიდან მათთვის ყველაზე აქტუალური 6 პრობლემა უნდა შეერჩიათ. საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის წინასწარი მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა 80% შემდეგი ათწლეულის პრიორიტეტებად განათლების (78%), დასაქმებისა (71%) და ჯანდაცვის (66%) გაუმჯობესებას ასახელებს. მოსახლეობისთვის ასევე ერთერთი აქტუალური საკითხია კარგი მმართველობა, რასაც გამოკითხულთა 49% ანიჭებს უპირატესობას.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე მაკა ჯაში და გაერო-ს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში ნილს სკოტი დაესწრნენ.

ნატო ოგოლაძე

„კვლევა, რომელიც ჩატარდა, უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ჩვენ საქართველოს მთავრობასთან ერთად ახალი პროგრამები დავგეგმოთ. ეს კვლევა მთელს მსოფლიოში ტარდება, რადგან ათასწლეულის განვითარების 15 წლიანი ციკლი 2015 წელს სრულდება და მსოფლიომ უნდა გადაწყვიტოს — თუ რა პრიორიტეტები უნდა დავსახოთ მომდევნო ციკლისთვის. პრიორიტეტები კი იქნება ის გადაწყვეტილება, რომელსაც თავად ადამიანები მიიღებენ. მოხარული ვარ, რომ გამოკითხვა საქართველოშიც ჩატარდა. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ადგილობრივ მთავრობასთან, რომ ახალი პროგრამები კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმოს“, — განაცხადა გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა საქართველოში ნილს სკოტმა.

გამოკითხვაში „ჩემი სამყარო“ 3000-ზე მეტმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში განხორციელდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კვლევა აფხაზეთშიც ჩაატარა, რომელშიც რეგიონიდან დევნილები და აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეებიც ჩაერთნენ. საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებმა გამოკვეთა, რომ ქვეყნის თითოეულ რეგიონში ადგილობრივი პრობლემატიკა განსხვავებული სპეციფიკისაა. გამოკითხვის წინასწარი მონაცემების მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმში პრიორიტეტულ პრობლემად დასახელებულია — ინტერნეტი; აფხაზეთში — კლიმატის ცვლილება და ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა; მცხეთა-მთიანეთში — სანიტარიული ნორმების დაცვა და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა; სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიასა და თბილისში — დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფლება; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა მიიჩნიეს ყველაზე პრობლემატურად სამცხე-ჯავახეთშიც. რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის მიერ ქვეყნის განვითარებისთვის მიჩნეულ 3 ძირითად პრიორიტეტს (განათლება, დასაქმება და ჯანდაცვა), „ჩემი სამყაროს“ გამოკითხვის შედეგების პრეზენტაციაზე დამსწრე ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, 3-ივე მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტებთან თანხვედრაშია. კერძოდ, რაც შეეხება განათლების განვითარებას, 2014 წლის ბიუჯეტში ეს დარგი ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მუშაობა სხვადასხვა პროგრამებზე. ერთერთია სკოლამდელი განათლებაც, რაზეც სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად მუშაობს. მუშაობა მიმდინარეობს საშუალო განათლების გასაუმჯობესებლადაც. რეფორმის სწორად დაგეგმვის მიზნით დაწყებულია ქართული საჯარო სკოლებისა და მსოფლიოში წამყვანი სკოლების პროგრამების შედარების პროცესი.

49%
კარგ მმართველობას ანიჭებს უპირატესობას

„დღევანდელი მონაცემებით ქართველმა ხალხმა პრიორიტეტებად განათლება, დასაქმება და ჯანდაცვა გამოყო. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ეს ხელისუფლების პრიორიტეტებს ემთხვევა. ჩვენი მიზანია, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემების მოგვარება, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია სხვა ძვირად ღირებულ პროექტებზე გადავიდეთ“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტული პრობლემები ვერ მოგვარდება, თუ სამოქალაქო საზოგადოება, მეცნიერება და ხელისუფლების წარმომადგენლები დიალოგს არ გააქტიურებენ. ამ პროცესის ინტენსიურად წარმართვისთვის კი მან თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შესთავაზა.

„კმაყოფილი ვარ მთავრობის წარმომადგენლების აქტიურობით. მათ დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები და მზაობა იმ საკითხების გადაწყვეტასთან მიმართებაში, რაც მოსახლეობამ პრიორიტეტულად მიიჩნია. რაც მთავარია, მათი ხედვა არ განსხვავდება იმისგან, რაც ხალხს აწუხებს. ამ კვლევამ ასევე აჩვენა, თუ რამდენად თანხვედრაშია საქართველოსა და მსოფლიოში არსებული მწვავე პრობლემები ერთმანეთთან. საინტერესოა, რომ განათლება როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოშიც პრიორიტეტულად დასახელდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსგავსი კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია და მასში უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული თსუ-ის პროფესურა და სტუდენტობა. უნივერსიტეტის კარები მსგავსი პროექტების რეალიზაციისთვის ყოველთვის ღია იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

„ჩემი სამყარო“ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით და საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობით ტარდება. მონაცემები პირადი გასაუბრების, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების, ვებ-გვერდისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით შეგროვდა.

მრჩეველთა საბჭოს ხელწერა

ინტერვიუ მრჩეველთა საბჭოს წევრთებთან, პროფესორებთან გიორგი გოგოლაშვილთან და ჯემალ მებონიასთან

ჩვენ მრჩევლებად მხოლოდ ახლა ვიგრძენით თავი

ბასულ წლებში ნაციონალური დემაგოგიის და „გაკვეთილების“ შედეგები უნივერსიტეტის ბევრმა პროფესორმაც იწვნია. „კორუმპირებულის“, „წითელი პროფესორის“, „ჩარეცხილის“, „ხულიგნისა“ და „მეამბოხის“ იარლიყით საუნივერსიტეტო საზოგადოების არაერთი ღვაწლმოსილი წევრი დატოვეს უნივერსიტეტის კარს მიღმა. ამ ტერორის მიუხედავად უმეტესობას არ შეუწყვეტია თანმიმდევრული ბრძოლა უნივერსიტეტის ღირსების „შესაპირკეთებლად“. ისინი ითხოვდნენ მხოლოდ რეფორმის კანონის ჩარჩოებში მოქცევას და „იდგნენ და ელოდნენ“ ტაძარში დათრგუნული სიკეთის კვლავაც მოძლიერებას.

დაიწყო თუ არა სამართლიანობის აღდგენისთვის ნაბიჯების გადადგმა ახალმა რექტორმა? — ამ კითხვას სწორედ ისინი გასცემენ პასუხს, ვისთვისაც უნივერსიტეტში დაბრუნებას უკვე აზრი მიეცა. ამ პლეადის წარმომადგენელია სწორედ პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, *რომელიც რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მრჩეველთა საბჭოში მოიწვია.*

ნინო კაკულია

— მრჩეველთა საბჭოს თქვენი სახით ახალი წევრი შეემატა. როდის მიიღეთ რექტორისგან შემოთავაზება?

— 2004 წლიდან მოყოლებული, რაც ლომაიას თაოსნობით ე.წ. „რეფორმა“ დაიწყო წინა ხელისუფლებამ, ჩვენ ბრძოლა არ შეგვიწყვეტია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ყველა მოვლენას, რაც უნივერსიტეტში ხდებოდა, ჩვენ ვეხმიანებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არც გ. ხუბუამ და არც მომდევნო რექტორმა ს. კვიტაშვილმა ყურადღება არ მოგვაქცია. რექტორის ბოლო არჩევნებთან დაკავშირებითაც ჩვენ საკმაოდ ვაქტიურობდით და გამოვხატავდით საკუთარ პოზიციებს — რა მიგვაჩნდა მართებულად და სასიკეთოდ უნივერსიტეტისთვის. საბედნიეროდ, ამ არჩევნებში გაიმარჯვა იმ კანდიდატურამ, რომელსაც საზოგადოების ფართო მხარდაჭერა ჰქონდა (გახსოვთ, ალბათ, ის რეიტინგები, რომლის თანახმადაც ბ-ნ ლადო პაპავას გამოკითხულთა 85% უჭერდა მხარს, დანარჩენი 15% კი ნაწილდებოდა რექტორობის 13 კანდიდატზე). რექტორად არჩევის შემდეგ ბატონ ლადოს მალევე შევხვდით მე და პროფესორი ჯემალ მებონია და საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გამოიკვეთა პოზიცია, რომ ბევრ საკითხთან მიმართებაში ჩვენი პოზიციები თუ შეფასებები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამის შემდეგ მისგან მივიღეთ წინადადება, რომ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე დავთანხმებულიყავით.

— უნივერსიტეტიდან თქვენი „დევნის“ შემდეგ ახალი რექტორის პირობებში მრჩეველთა საბჭოში გიორგი გოგოლაშვილის გაწევრიანება შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ სამართლიანობის აღდგენის დაწყებად? უნივერსიტეტში ახალი რექტორის მოსვლიდან ჯერ 100 დღეც არ გასულა, თუმცა ზოგიერთი პროფესორი უკვე უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამს, რომ სამართლიანობა უნივერსიტეტში ჯერაც ვერ აღდგა, რასაც თურმე მალევე ელოდა. საინტერესოა თქვენი კომენტარი...

— 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტში იმდენი რამ წახდა, რომ ასე იოლად არ გამოსწორდება; ცხადია, 9 წელიწადში დანგრეულს 1 თვეში ვერ ააშენებ... ჩვენ ყველაფერი ერთბაშად გვინდა. ვამბობთ: აი, მოვიდა ახალი რექტორი და აბა რა გააკეთა ერთ თვეში, რატომ არ აღდგა სამართლიანობაო... ძალიან მძიმე პერიოდი გამოვიარეთ: ხუბუა-ლომაიამ, იმის გამო, რომ ჩვენ არ ვეთანხმებოდით მიმდინარე „რეფორმას“, პროკურატურას გადასცეს ჩვენი საქმე და გაგვასამართლეს. მარტო მე და ჯემალ მებონია ვინ ვართ? იცით, რამდენი ადამიანი და რა ხალხი იდგა ჩვენს გვერდით? თავის დარგში მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ადამიანები, ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში ცნობილი ადამიანები, ბევრ ევროპელ ადამიანთან ერთად ამერიკელ ადამიანებიც. ეს ადამიანები ჩვენ ბევრ ინფორმაციას ვაძლევდით, ბევრ ინფორმაციას ვიღებდით, ბევრ ინფორმაციას ვამუშავებდით. ეს ადამიანები ბევრ ინფორმაციას ამზადებდნენ, ბევრ ინფორმაციას ამზადებდნენ, ბევრ ინფორმაციას ამზადებდნენ...

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲖᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ

25 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ის კანცლერი დავით ჩომახიძე, ვიცე-რექტორი მერაბ ელიაშვილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე.

„ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, თქვენი ფაკულტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, არაერთი კითხვა დაისვა, მაგრამ ეს მაინც რექტორობის კანდიდატთან შეხვედრა იყო. დღეს, მაქვს პატივი, თქვენს წინაშე წარვდგე, როგორც რექტორი და მოვისმინო თქვენი კითხვები და მოსაზრებები“, — მიმართა აუდიტორიას აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და სთხოვა — დაეფიქსირებინათ მოსაზრებები ფაკულტეტის დაშლასთან დაკავშირებით: „ეს საკითხი დევს ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაში. ამ ვალდებულების შესრულებაზე უარს არ ვამბობ, მაგრამ არ მინდა, ფაკულტეტების დაშლით უნივერსიტეტს უფრო მეტი ზიანი მოვუტანო, ვიდრე ეს მოიტანა თავის დროზე მათმა მექანიკურად, ხელოვნურად გაერთიანებამ. თუ ამ საკითხზე მოისურვებთ საუბარს, მზად ვარ მივიღო თქვენი რეკომენდაციები და რჩევები“, — აღნიშნა მან.

უნივერსიტეტის რექტორისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს შორის შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ვლადიმერ პაპავას თქმით, უნივერსიტეტების მიერ მომზადებულია წინადადებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურაში სწავლა სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. როგორც რექტორმა აღნიშნა, წერილი გაგზავნილია საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროში. „სულ დოქტორანტების დაფინანსებისთვის, საქართველოს მასშტაბით, 11 მილიონი ლარია საჭირო. ეს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ნამდვილად არ არის დიდი თანხა, მაგრამ თუ ვინმეს ბევრი მოეჩვენება, იქვე ვთავაზობთ გამორიცხვის წესით დაფინანსებას. მაგალითად, ვთქვათ, ორი ისეთი მიმართულება, როგორიცაა სამართალი და ბიზნესი, ფასიანი იყოს, ხოლო დანარჩენი — სახელმწიფო დაფინანსებაზე. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ, ვინც დოქტორანტურაში სწავლობს, ყველა მეცნიერი გამოვიდეს, მაგრამ ჩვენ რომ დოქტორანტურა არ გავაძლიეროთ, საერთოდ არ გამოგვივა არაფერი“, — აღნიშნა ლადო პაპავამ და დასძინა, რომ თუ ამ წინადადებას გაითვალისწინებენ, დაფინანსების ეს წესი შეეხება გეოლოგიის და გეოგრაფიის მიმართულებასაც.

ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲚᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

შეხვედრაზე პასუხი გაეცა არაერთი პროფესორის მიერ გამოთქმულ შენიშვნას და წუხილს — დროში გაწელილი ტენდერების შესახებ, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება ლაბორატორიებში მუშაობა. „ერთი მარტივი მაგალითი მინდა მოვიყვანო. მიმდინარე წელს, ბიუჯეტის გამოყოფისთანავე, გავაკეთეთ განაცხადი ქიმიური რეაგენტების შეძენაზე და დღემდე, აგერ უკვე ათი თვე დასრულდა, ვერცერთი რეაგენტი ვერ მივიღეთ. ეს არის ხელშემშლელი წინაპირობა ჩვენთვის. როგორც მითხრეს, იანვარში თურმე ანგარიში უნდა გავაკეთოთ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის წინაშე და არ ვიცი, ასეთი ტენდერების პირობებში როგორ გვექნება სრული ანგარიშგების შესაძლებლობა. ვიცი, რომ კანონთანაა დაკავშირებული, მაგრამ იქნებ როგორმე დასვათ საკითხი სამინისტროსთან და საკანონმდებლო ორგანოსთანაც და თუ ჩვენი მხრიდან მხარდასაჭერი წერილი იქნება საჭირო, ამასაც მოგართმევთ“, — განაცხადა პროფესორმა დიანა ძიძიგურმა.

უნივერსიტეტის რექტორმა ამ პრობლემის მოგვარების გზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არის საკითხები, რომლის გადაწყვეტაც უნივერსიტეტის კომპეტენციაში არ შედის და ტენდერების პროცესი მასაც უშლის ხელს ოპერატიულ საქმიანობაში.

რექტორის თქმით, ამ პრობლემიდან გამოსავალს უნივერსიტეტებს განათლების და მეცნიერების სამინისტრო სთავაზობს: „სამინისტროში მზადდება ცვლილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირები გახდებიან. ეს სტატუსი შეამსუბუქებს შეზღუდვებს, რომელიც დაკავშირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსთან, მათ შორის, გაამარტივებს შესყიდვების პროცესს სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულების პროდუქტზე. ასევე გამარტივებული რეჟიმი იქნება სასწავლო ლიტერატურის და რეაქტივების შეძენაზეც. შეთანხმება უკვე მიღწეულია და ვფიქრობთ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, “ — აღნიშნა მან.

ᲗᲡᲣ-Ს ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

შეხვედრაზე პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტს უნდა დაუბრუნდეს პედაგოგის კვალიფიკაციის მინიჭების უფლება ისე, როგორც ეს ადრეულ წლებში იყო. მათი თქმით, ეს გააუმჯობესებს სკოლებში სწავლების დონეს და გაზრდის უნივერსიტეტის რეიტინგს. „ვიცით, რომ ქვეყანაში არის კვალიფიციური მასწავლებლების პრობლემა. ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებულია იმითაც, რომ რამდენიმე წელია, უნივერსიტეტებს, მათ შორის, ჩვენც, წაერთვა პედაგოგის კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, რაც დაარსების დღიდან გააჩნდა უნივერსიტეტს“, — განაცხადა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების სრულმა პროფესორმა დიანა ძიძიგურმა.

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ამოქმედების აუცილებლობაზე ისაუბრა მათემატიკის მიმართულების სრულმა პროფესორმა თეიმურაზ ვეფხვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მასწავლებლობა არ უნდა წყდებოდეს ერთი სასერტიფიკაციო გამოცდით. „ჩვენ ორი წელია გადამზადების კურსები დავნერგეთ ჩვენს ფაკულტეტზე, მაგრამ სხვა ფაკულტეტებზეც იგივე უნდა გაკეთდეს,“ - აღნიშნა თეიმურაზ ვეფხვაძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა ინფორმაცია მიაწოდა დარბაზს, რომ პრაქტიკულად უკვე მომზადებულია წერილი, რომელიც უნდა გადაიგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და რომელშიც საუბარია უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულისთვის მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების საჭიროებაზე და ბაკალავრიატში პედაგოგიკის სწავლების აუცილებლობაზე. „წინა კვირას გვქონდა შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ქალბატონ თამარ სანიკიძესთან, სადაც მან დააფიქსირა პოზიცია, რომ თავადაც უკმაყოფილოა მასწავლებელთა გადამზადების დღეს არსებული მდგომარეობით. მან გვკითხა, რამდენად ვართ ამისთვის მზად. ჩვენ კი ვუპასუხეთ, რომ არა მარტო მზად ვართ, არამედ, ვაპირებდით ამ თემაზე ინიციატივით გამოსვლასაც კი. თუმცა აქ ერთი გარემოებაა — მოგეხსენებათ, არჩევნების დამთავრების შემდეგ მთავრობა შეიცვლება. თუ ქალბატონი თამარი დარჩება მინისტრის პოსტზე, ეს საკითხიც მალე გადაწყდება, თუ — არა, თავიდან მოგვიწევს ყველაფრის დაწყება. ჩვენი მხრიდან ძალისხმევას არ დავაკლებთ მცდელობას, რომ უნივერსიტეტმა დაიბრუნოს მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის სტატუსი“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ? — ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲒᲑᲛᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ...

შეხვედრაზე ერთგვარ სადისკუსიო თემად იქცა ცვლილებები სახელფასო სარგოებსა და დანამატებზე. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ, რადგან ფაკულტეტი არ არის მომგებიანი, მისი აკადემიური პერსონალის ხელფასი ნაკლები უნდა იყოს იურიდიული ან ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა ხელფასებზე. ამ საკითხზე გამოთქვა მოსაზრება ფიზიკის მიმართულების პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ: „ბოდიშს ვუხდი იურისტებსაც და ეკონომისტებსაც, მაგრამ მინდა მივმართო ჩემს მეგობრებს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში – როგორ დათანხმდით ისეთი საკითხის დამტკიცებას, რომელიც დისკრიმინაციას უწევს თქვენს კოლეგებს. რატომ უნდა ჰქონდეს ეკონომისტს იმაზე მაღალი ხელფასი, ვიდრე აქვს ფიზიკოსს, ქიმიკოსს, მათემატიკოსს, XXI საუკუნის მეცნიერების წარმომადგენლებს? ერთი სტუდენტის მომზადება ჩვენს დარგში გაცილებით რთულია, ვიდრე სხვაგან. ესეც არ იყოს, აიღეთ თუნდაც ბოლო 5 წლის მონაცემები და შეადარეთ — რამდენი წარმატებული მეცნიერი და მოღვაწე ჰყავს ჩვენს მიმართულებებს, რამდენი მოღვაწეობს საზღვარგარეთის წარმატებულ კომპანიებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და რამდენი ასეთი ჰყავს ეკონომიკის ან იურიდიულ ფაკულტეტებს? მე მიმუშავია უცხოეთის ძალიან წარმატებულ უნივერსიტეტებში და ვიცი, რას უხდიან იქ მეცნიერს. ის ხელფასი, რასაც აქ თუნდაც იგივე ეკონომისტები იღებენ, ძალიან ცოტაა, მაგრამ ჩვენი ფაკულტეტის ასეთი დისკრიმინაცია არ შეიძლება“, — აღნიშნა მან.

გამოთქმულ მოსაზრებათა საპასუხოდ, სახელფასო ცვლილებებზე და ამ კუთხით დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა რექტორმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა უნდა დაფასდეს. „დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან მარტივი და ყველასთვის გასაგები და კონტრაქტი, რომელიც არასრულფასოვანია. 20-კაციან აუდიტორიაში და 100-კაციან აუდიტორიაში ლექციის კითხვა სხვადასხვა დატვირთვაა. ბუნებრივია, ეს უნდა შეიცვალოს და ამავდროულად, სამეცნიერო საქმიანობა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა მაღალ რანგში უნდა იყოს აყვანილი. დღეს გათვალისწინებულია მხოლოდ აუდიტორიული საქმიანობა. სხვა დანარჩენი ერთ ქვაბშია ჩაყრილი. ეს აქტივობები არ იზომება და არც ანაზღაურებაზე აისახება. გამომდინარე აქედან, ვამუშავებთ ახალ სახელფასო სისტემას, რომელსაც 2015 წლის ბიუჯეტში ავსახავთ,“ — განაცხადა მან.

რექტორმა ისაუბრა ახალ სახელფასო პოლიტიკაზეც, რომლის გატარებასაც მომავალი წლიდან აპირებს და რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციის რეფორმასთან. „არ გვინდა, რომ აქ იყოს თვითშემოქმედება და რაღაც შეცდომები დავუშვათ. ჩვენ გვყავს ექსპერტი, რომელიც არის კემბრიჯის უნივერსიტეტიდან. მან მოამზადა გარკვეული წინადადებები, რომელშიც ერთერთი მინიშნება არის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის. თქვენთან დაახლოებით ასეთი თანაფარდობაა — 150 ძირითადი პერსონალი და 200 მოწვეული და ეს მაშინ, როცა, ვთქვათ, იგივე კემბრიჯში 100 ძირითადი და 12 მოწვეული პერსონალია. სხვა ფაკულტეტებზე უარესი თანაფარდობაა... მექანიკურად არც ამ მიმართულებით ვაპირებთ რამის გაკეთებას. არ მინდა ამ ადამიანებზე მიზანმიმართული ზეწოლა განხორციელდეს, მაგრამ ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს — ყველა მოწვეული გვჭირდება? იმ აუდიტორიულ მეცადინეობებს და პრაქტიკულებს ჩვენი პერსონალი ვერ გაწვდება? ამით მინდა მიგანიშნოთ, რომ ეს არის პრაქტიკულად სერიოზული რესურსი,“ — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

ამავე კონტექსტში აღინიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა და უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება თსუ-ის ნახევარგამტარების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელფასო უზრუნველყოფის და ლაბორატორიების თანამშრომლებისთვის სამეცნიერო სტატუსის მინიჭების საკითხებიც, რადგანაც ლაბორატორიის თანამშრომლები, ფაქტობრივად, სამეცნიერო მუშაობას ეწევიან და ადმინისტრაციულ პერსონალს ხელოვნურად არიან მიკუთვნებულნი. ეს საკითხები წამოსწიეს შეხვედრაზე ბიოლოგიის მიმართულების პროფესორმა დიანა ძიძიგურმა და ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შოთა მირიანაშვილმა (ინსტიტუტის დირექტორი) და თენგიზ ქამუშაძემ.

ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

გამომსვლელთა საუბრებში აქტიურად განიხილებოდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დაყოფის საკითხი. მათი ნაწილი ემხრობოდა ფაკულტეტის დაშლას, ნაწილი — არა, თუმცა ერთ საკითხზე ყველა შეთანხმდა, რომ გადაწყვეტილება სპონტანურად არ უნდა მიიღონ. ამისთვის საჭიროა მსჯელობა, ყველა მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინება და გონივრულ დასკვნამდე მისვლა.

კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების სრულმა პროფესორმა ალექსანდრე გამყრელიძემ წამოაყენა იდეა, უნივერსიტეტის გაზეთის ფურცლებზე დაიწყოს დისკუსია ამ საკითხებზე და მაქსიმალურად განიხილონ ყველა შემოთავაზებული წინადადება – როგორ ესახება პროფესურას მომავალში უნივერსიტეტის სტრუქტურა და რამდენად ოპტიმალური იქნება იგი სხვადასხვა მიმართულებებისთვის. ამავე საკითხზე გამოთქვეს მოსაზრებები პროფესორებმა დიანა ძიძიგურმა, ნოდარ ცინცაძემ, ბეჟან თუთბერიძემ, რამაზ გახოკიძემ, ნოდარ ელიზბარაშვილმა, თეიმურაზ ვეფხვაძემ, იოსებ ჩიკვაიძემ, შოთა მირიანაშვილმა.

უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მხარი დაუჭირა იდეას — უნივერსიტეტის გაზეთმა დაუთმოს ადგილი დისკუსიას ფაკულტეტების დაშლის (ან დღეს არსებული სტრუქტურის შენარჩუნების) შესახებ, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების გამჭვირვალედ მიღებას. „მოდით, ეს გავხადოთ საჯარო დისკუსიის საკითხი, რადგანაც მინდა, რომ ეს იყოს შინაარსობრივად გამართული, უნივერსიტეტის და თავად ამ ფაკულტეტებისთვის გამართლებული გადაწყვეტილება. კარგი იქნება, ეს დისკუსია აიღოს თავის თავზე ჩვენმა საუნივერსიტეტო გაზეთმა. მარტო ამ ფაკულტეტით ნუ შემოვიფარგლებით, საუნივერსიტეტო სივრცე დიდია, არსებობს სხვა მსგავსი მოდელის ფაკულტეტებიც და ეს იყოს საუნივერსიტეტო განხილვის თემა“, — განაცხადა რექტორმა.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

მრჩეველთა საბჭოს ხელწერა

ინტერვიუ მრჩეველთა საბჭოს წევრთებთან, პროფესორებთან გიორგი გოგოლაშვილთან და ჯემალ მებონიასთან

ჩვენ მრჩევლებად მხოლოდ ახლა ვიგრძენით თავი

მეორე გვერდიდან

შტაბით ხუთეულში შესული, აწ განსვენებული აკადემიკოსი თენგიზ სანაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული, პროფესორი მაია ნათაძე, პროფესორი ვახტანგ ტუსკია და სხვა. ის ფაქტი, რომ დღეს უკვე უნივერსიტეტში ვბრუნდებით და შეიძლება ჩვენი სიტყვა ვიღაცამ მოისმინოს, ჩვენი აზრი გაითვალისწინოს, განა ეს უკვე არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც ნაბიჯები გადაიდგა სამართლიანობის აღდგენისთვის? ჩვენც, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში შევეცდებით გავაკეთოთ ის, რაც მიგვაჩნია სწორად და მართებულად.

— ***რაზე იმსჯელა მრჩეველთა საბჭომ პირველ შეკრებაზე?***

— პირველ რიგში, გაგახსენებთ, როდის გამოჩნდა ასპარეზზე რექტორის მრჩეველთა საბჭო. 2006 წლის მაისში უნივერსიტეტის საქტო დარბაზის ფოიეში მაშინდელმა რექტორმა გ. ხუბუამ ძირითად ფაკულტეტებზე აკადემიური კონკურსები გამოაცხადა და საზოგადოებას თავის მრჩევლებად წარუდგინა სახელოვანი მეცნიერები: ჯუმბერ ჭუმბურიძე, თარა ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე და სხვ. ასე აღმოჩნდნენ ეს მეცნიერები მაშინ განვითარებული მოვლენებისა და სადღეღამისო საპროტესტო აქციების ფონზე რექტორის გვერდით. ალბათ, იმ შეხვედრის მონაწილეებს ახსოვთ ქალბატონი მზექალას ნათქვამი (ეს დაიბეჭდა კიდეც ერთერთ გაზეთში), რექტორს რომ მიმართა — თუ ჩვენი აზრი გაინტერესებდათ, კონკურსების გამოცხადება ჩვენთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული და ფაქტის წინაშე არ უნდა დაგეყენებინეთო. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ხუბუასდროინდელი საბჭოს მუშაობის პრინციპი სწორედ ასეთი იყო, ანუ რექტორი დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს; შემდეგ ტელეკამერების წინ დადგებოდა და მთელ ქვეყანას აჩვენებდა იმას, რომ ეს სახელმოხვეჭილი ადამიანები თითქოსდა მის გვერდით იყვნენ...

ბატონი ლადო პაპავას რექტორად მოსვლის შემდეგ, როდესაც მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა, იქ ბრძანეს კიდეც საბჭოს წევრებმა, რომ ჩვენ მრჩევლებად მხოლოდ ახლა ვიგრძენით თავი, როცა ვიღაც რაღაცას გვეკითხება და ჩვენს აზრს ითვალისწინებსო. მე და ბატონი ჯემალ მებონიაც იმიტომ დავთანხმდით მრჩეველთა საბჭოს წევრობას, რომ იმედი გვაქვს — ეს ორგანო იქნება ქმედითი და არა ფორმალური, რაც ბატონი ლადოს სურვილსაც ემთხვევა.

პირველივე სხდომაზე ჩვენ მივიღეთ მრჩეველთა საბჭოს დებულება, რომელშიც ზუსტად არის გაწერილი — რა ევალება მრჩეველთა საბჭოს წევრებს და რისი უფლება აქვთ. ეს დებულება, ვფიქრობ, სანიმუშოა ამგვარი ორგანოსთვის.

ჩვენ განვიხილეთ, ასევე, სხვა საინტერესო საკითხებიც. მსჯელობის შედეგად საბჭომ მიიღო რექტორის მიერ ინიცირებული დებულება, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ უცხოელი ქართველოლოგებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მინიჭებას ითვალისწინებს.

გიორგი გოგოლაშვილი,
პროფესორი

პრემია გაიცემა საზღვარგარეთ მოღვაწე იმ მეცნიერებზე, რომლებსაც ქართველოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ. აღნიშნული ინიციატივა ერთობ საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ჩვენ ვუფასებთ ღვაწლს იმ უცხოელს, რომელიც ჩვენი ერისთვის, ჩვენი კულტურისა და ისტორიისთვის მოიცლის და, მეორე — მისადმი მადლიერებას ჩვენ გამოვხატავთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის სახელობის პრემიის მინიჭებით.

ასევე, განვიხილეთ პროფესორ-მასწავლებელთა ყოველწლიური პრემიის საკითხი. ყოველწლიურად ფაკულტეტები შეარჩევენ ბოლო 3 წლის მანძილზე თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, რის შემდეგაც ჩატარდება ე.წ. ფორუმი, ანუ მოხსენებებს წაიკითხავენ წარმოდგენილი კანდიდატები, რომელთაც საუნივერსიტეტო პრემია მიენიჭებათ. ფორუმი გაიმართება აპრილში ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად. გარდა ამისა, სხდომაზე ვიმსჯელეთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეთა სტიმულირებაზეც. სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის გენიალური შორსმჭვრეტელობით ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა. ჩემი სტუდენტობის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობას. სამწუხაროდ, ბოლო წლებში (ეს არ ეხება მხოლოდ უნივერსიტეტის უკანასკნელ ათწლეულს) სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობამ ფორმალური ხასიათი მიიღო. თავის დროზე, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეების მოხსენებათა თეზისები იბეჭდებოდა ბროშურების სახით; ყოველ მოხსენებას ავტორის გარდა მიეთითებოდა მეცნიერ-ხელმძღვანელიც... ეს დაბეჭდილი „პროდუქტი“ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებდა სტუდენტსაც და მის ხელმძღვანელსაც. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია მოისპო. კარგი იქნება, თუკი კვლავ გავიხსენებთ წარსულ გამოცდილებას და ამ ტრადიციას აღვადგენთ. ეს საკითხი წამოვწიე მაშინ, როდესაც კონფერენციებზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებების ავტორი-სტუდენტების ყოველწლიური ფულადი დაჯილდოების თემას შევეხეთ. ეს საკითხიც, ვფიქრობ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დღევანდელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

პირადად დავსვი რამდენიმე საკითხი, რომელიც მრჩეველთა საბჭომაც გაიზიარა და ბატონმა რექტორმაც გამოავლინა მისადმი კეთილგანწყობა — ეს გახლდათ ყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიების პრობლემა. მოგეხსენებათ, რომ 2005 წლიდან უნივერსიტეტში ფაქტობრივად გაუქმდა ყველა სამეცნიერო და სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორია.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში იყო ივანე ჯავახიშვილის სასწავლო-სამეცნიერო და, ამასთანავე, მემორიალური კაბინეტი. ყველა იქ შესულს შეექმნებოდა შთაბეჭდილება — ვინ იყო ის პიროვნება, ვინც უნივერსიტეტი დაგვიარსა. ეს კაბინეტი 2005 წელს გაუქმდა. მაშინ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წერილიც გამოქვეყნდა შემდეგი სათაურით: „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი“. ივანე ჯავახიშვილი ერთხელ მაშინ მოკლეს, როცა მისივე დაარსებული უნივერსიტეტიდან გააძევეს, მეორე სიკვდილად მისი ფიზიკური გარდაცვალება ითვლება და მესამედ მოკვდა მაშინ, როდესაც მის დაარსებულ უნივერსიტეტში მისი კაბინეტი გაუქმდა — წერდა თავის წერილში ბ-ნი თამაზ გამყრელიძე. მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე სწორედ ამ კაბინეტის აღდგენის საკითხი დავსვით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონი ლადოს დავალებით ივანე ჯავახიშვილის კაბინეტის აღდგენის საკითხი უკვე „დაიძრა“.

ჩვენ დავსვით კიდევ ორი კაბინეტის აღდგენის საკითხი: მოგეხსენებათ, 2015 წელს 100 წელი სრულდება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან. მან თავისი ცხოვრების ბოლო დღეები გაატარა იმ შენობაში, რომელსაც ახლა უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ჰქვია. მე-3 სართულზეა ის ოთახი, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის ამ გენიოსი მოღვაწის სული განეშორა მის სხეულს. როგორც იქნა, მოხერხდა ამ ოთახისთვის მემორიალური წარწერის გაკეთება. მანამდე კი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი არსებობდა. სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო კაბინეტებს შორის იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თავისი საქმიანობითა და კვლევის შედეგებით... აქ გამოიცა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და „ხუთი პოემა“ — შესწავლილი ყველა ასპექტით; გაკეთდა ვაჟას თხზულებათა ლექსიკონი, ამოიწერა მასალა სიმფონია ლექსიკონისათვის... ამ კაბინეტის დახურვა დანაშაულის ტოლფასი იყო. მისი აღუდგენლობის შემთხვევაში, მით უფრო 2015 წლისთვის, ჩვენ არ ვიქნებით მართლები ჩვენი გენიოსი წინაპრის წინაშე. მრჩეველთა საბჭომ გაიზიარა ჩვენი ეს წინადადება და, ვფიქრობ, პრობლემა 2015 წლისთვის მოგვარდება. დავსვით, ასევე, რუსთაველის კაბინეტის აღდგენის საკითხიც. ალბათ, ბატონი რექტორი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განიხილავს შესაძლებლობებს — რა თანმიმდევრობით და როგორ უნდა გადაწყდეს მსგავსი პრობლემები... და ეტაპობრივად დადგება სხვა კაბინეტ-ლაბორატორიების აღდგენის საკითხიც...

ვიმეორებთ, ერთ დღეში დანგრეულის აღდგენას წლები შეიძლება დასჭირდეს; უნივერსიტეტი ცხრა წელი ინგრეოდა... ჩვენ საიმედოდ გვეჩვენება ახალი რექტორის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები... იმედით ვუყურებთ მომავალს...

აუცილებელია სასწავლო პროგრამების სერიოზული გადახედვა

მეორე გვერდიდან

არის კიდევ ერთი საკითხი, რაც მაწუხებს და რაც ზემოთ აღნიშნულ პრობლემაზეა მიბმული. არასწორად ხდება კრედიტების დაანგარიშება. მინისტრის 2009 წლის ბრძანებით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ერთი კრედიტი ნიშნავს 25-დან 30-მდე ასტრონომიულ საათს, ანუ 30-იდან 36-მდე აკადემიურ საათს. დღეს კი უნივერსიტეტში კრედიტს ანგარიშობენ 25 აკადემიურ საათად, რაც აღიარებულ სტანდარტებს არ შეესაბამება.

— ***თქვენ ხშირად ამბობთ, რომ პროფესურის გარკვეული ნაწილი უკანონოდ და უსამართლოდ არის ჩამოცილებული უნივერსიტეტს და რომ მათ უნდა მიეცეთ უნივერსიტეტში დაბრუნების შანსი. ბატონი ლადო ბრძანებს, რომ აკადემიური კონკურსების გამოცხადების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვერ გამოარჩევს — ვინ ძველია და ვინ ახალი კადრი, ვინ მოსაბრუნებელია და ვინ — დასატოვებელი. მისი აზრით, მთავარია კონკურსები ჩატარდეს ობიექტურად და გამჭვირვალედ...***

— მეც ვამბობ იმას, რომ იმ ხალხს თანაბარ პირობებში უნდა მიეცეს კონკურსებში მონაწილეობის საშუალება და ამაში არ ვგულისხმობ ვინმესთვის პრივილეგიის მინიჭებას. ჩვენ იმიტომ ვუჭერდით მხარს ადრე (ჩვენ პარლამენტს გასული წლის დეკემბერში შევთავაზეთ კონცეფცია) უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდის დაწესებას, რომ ეს გარდამავალი პერიოდი ყველას — უნივერსიტეტს გარეთ დარჩენილებსაც და უნივერსიტეტში ამჟამად დასაქმებულებსაც თანაბარ პირობებში აყენებდა გამოსაცხადებელი კონკურსების დროს. გარდა ამისა, უნდა დაწყებულიყო ფაკულტეტების დაშლის პროცესიც. დღესაც აუცილებლად მიმაჩნია ფაკულტეტების ოპტიმალური რაოდენობის ჩამოყალიბება და კათედრების აღდგენა.

— ***წინასაარჩევნო პერიოდში რექტორობის კანდიდატი ლადო პაპავა აქტიურად საუბრობდა მრავალდარგობრივი ფაკულტეტების დაყოფის თაობაზე. თქვენ ფაკულტეტების დაშლასთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვით ერთერთ ინტერვიუში, რომელიც edu.aris.ge-ს კორესპონდენტს მიეცით. იმ ინტერვიუში გამოთქმულ თქვენს მოსაზრებას ისეთი ინტერპრეტაცია მიეცა, რომ ფაკულტეტების დაყოფის დავალება პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტისგან გაქვთ მიღებული. აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა პროფესორმა პრივატულ საუბრებში ისიც კი აღნიშნა, რომ დღეს უნივერსიტეტის საქმეებში განათლების სამინისტროს მაგივრად ახლა უკვე პარლამენტის კომიტეტი ერევა. აი, ასეთი დასკვნა გამოიტანეს თქვენი ნათქვამიდან ინტერვიუში. რეალურად რასთან გვაქვს საქმე?***

— ის, რომ პარლამენტის კომიტეტი მხარს უჭერს რაღაც მოსაზრებას და პოზიციას, ეს ჩარევას ნიშნავს? როცა ჩვენ დავაყენეთ საკითხები, თუ რა არის გასაკეთებელი, პარლამენტის კომიტეტმა მხარი დაგვიჭირა და ეს კარგია. მაგრამ, რატომ არის ეს ჩარევა? ეს არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომ ვითომ ვიღაც ერევა უნივერსიტეტის საქმეში. 9 წელია ერთი და იგივე პრობლემებზე ვლაპარაკობ და რა დავალებაზეა საუბარი? დავალების ბრმა და მორჩილი შემსრულებელი რომ ვყოფილიყავი, დღესაც უნივერსიტეტში ვიქნებოდი.

გავიხსენებ 2006 წელს, როცა დიდი საბჭო არალეგალურად მუშაობდა. მაშინ ჩვენ ფაკულტეტების სტრუქტურა გაკეთებული გვქონდა. იმ დროისთვის ოპტიმალური რაოდენობა იყო 15-16 ფაკულტეტი. დღეს შეიძლება ეს რაოდენობა მისაღები არ იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ 6 ფაკულტეტის არსებობა არანაირ საღ აზრში არ ჯდება. და მაშინ იცით რატომ გააკეთეს ეს? აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან 2-2 კაცი შედიოდა და 12 კაცის მართვა გაცილებით ადვილი იყო. აი, ასე მარტივად და მექანიკურად მოხდა ამდენი დარგის გაერთიანება. ამიტომ მოსაფიქრებელია ოპტიმალური რაოდენობა. ამ ოპტიმიზიციასთან ერთად საჭიროა კათედრებიც აღდგეს, რომლის გარეშეც სასწავლო პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება.

— ***edu.aris.ge-სთვის მიცემული ინტერვიუდან ჩანდა, რომ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ფაკულტეტების დეკანების საკითხს და კიდევ სხვა პრობლემებს შეეხეთ, რაც საბჭოს სხვა წევრებისგან არ მომისმენია...***

— სამწუხაროდ, მაშინ ჟურნალისტმა ან მე ვერ გამიგო, ან სწორად ვერ გავაგებინე — რას ვამბობდი. რაზეც იმ ინტერვიუშია საუბარი, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე არ განგვიხილავს. მე ვსაუბრობდი მხოლოდ ჩემს პირად პოზიციებზე საკითხების მიმართ. რაც შეეხება დეკანის გათავისუფლების თემას, ეს თავად ჟურნალისტმა წამოჭრა და მე დავუდასტურე სიმართლე, რომ ერთერთი დეკანი თანამდებობიდან გათავისუფლდა. ვინ გათავისუფლდა და ვინ არა, ეს საკითხი, ზოგადად, ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის საინტერესოა — რა უნდა მოხდეს უნივერსიტეტში? რისი გაკეთებაა საჭირო? ვინ განახორციელებს იმას, რისი გაკეთებაც აუცილებლად მიმაჩნია? მაგალითად, ჩვენთვის პრინციპულია იმ ადამიანების ფინანსური მხარდაჭერა, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ უნივერსიტეტის წინაშე. 2007-2010 წლებში არსებობდა კომპენსაციის სამსახური და ხალხს სტიპენდიებს უნიშნავდნენ. მსგავსი რაღაცის გაკეთება ახლაც შესაძლებელია. პარლამენტის კომიტეტის სხდომაზეც დავაყენეთ ადრე ეს საკითხი, რომ ე.წ. საპენსიო დანამატების სახით ან ემერეტუსის სტატუსის მინიჭებით შესაძლოა მხცოვან და ღვაწლმოსილ პროფესორებს დავეხმაროთ. არ შეიძლება ის ადამიანები უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ეს უსამართლობა იქნება და ცუდ მაგალითს მივცემთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მომავალში მეცნიერებაში მოსვლას აპირებენ.

***მოამზადა* ნინო კაკულიამ**

მე წამოვწიე ფაკულტეტების დაშლის თემა

მარიამ ლორთქიფანიძე,
რექტორის მრჩეველთა საბჭოს
წევრი, აკადემიკოსი:

— ახალმა რექტორმაც, როგორც მისმა წინამორბედმა რექტორებმა, სასურველად ჩათვალა, რომ მრჩეველთა საბჭო ჰყოლოდა, რაც მისასალმებელი ფაქტია. მიმაჩნია, რომ უმჯობესია — მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გარდა თსუ-ს გაზეთშიც აისახოს, რადგან ვებ-გვერდს ყველა ვერ ნახულობს. არადა, ჩვენ პირველივე სხდომაზე განვიხილეთ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საუნივერსიტეტო საზოგადოებამ უნდა იცოდეს.

განვიხილეთ ძალიან საინტერესო მრჩეველთა საბჭოს დებულების პროექტი, რომელშიც ასახულია, თუ რა ევალება საბჭოს, რისი უფლება აქვს და ა.შ. მასში წერია, რომ საბჭო სემესტრში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს. ადრე ასეთი წესი არ არსებობდა. როცა უნდოდა რექტორს, მაშინ იწვევდა სხდომას. დღეს კი, თუ საჭირო იქნება, მრჩეველთა საბჭოს შეუძლია რიგგარეშე სხდომის მოწვევის საკითხის დაყენებაც. იმის უფლებაც მოგვეცა, რომ სხდომის დახურვაც მოვითხოვოთ. ეს კენჭისყრით წყდება და არის ან ღია, ან ფარული კენჭისყრა. პირადად მე ფარული კენჭისყრის წინააღმდეგი ვარ. მიმაჩნია, რომ პიროვნებას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულება ღიად გამოამჟღავნოს. რა მაქვს დასამალი? ფარული კენჭისყრა ხომ პოზიციის დამალვაა...

ჩვენ განვიხილეთ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეთა განსაზღვრის შესახებ დებულების პროექტიც. ჩემთვის გაუგებარია ერთი მომენტი — სტუდენტს შეუძლია წინა წელს გამოქვეყნებული ნაშრომის კონფერენციაზე გატანა. გამოქვეყნებული ნაშრომი უკვე გამოქვეყნებულია და იმან თავისი საქმე უკვე გააკეთა. რა საჭიროა მისი კონფერენციაზე გატანა? გარდა ამისა, ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ კონფერენციაზე ნაშრომის წარდგენამდე იგი განიხილოს სამეცნიერო საბჭომ. თუ მოხსენებას წინასწარ წაიკითხავენ სამეცნიერო საბჭოზე, რომელსაც ამ დარგის სპეციალისტები დაესწრებიან, მერე რაღაა გასატანი კონფერენციაზე? ვინღა მოუსმენთ მათ? ვფიქრობ, ამას საბჭო კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ კონფერენციაზე მოხსენების წარსადგენად საჭიროა მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნა. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი თავის მოხსენებაზე თავად უნდა აგებდეს პასუხს.

გარდა ამისა, მე წამოვწიე ფაკულტეტების დაშლის თემა. 6 ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტად გაერთიანება ყოველთვის მიუღებლად მიმაჩნდა. დღეს, შეიძლება, რამდენიც იყო, იმდენი ფაკულტეტი ვეღარ აღადგინონ (ამას ბევრი რამ შეუშლის ხელს), მაგრამ ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა, თუნდაც 3 ფაკულტეტად დაყოფა შეიძლება. ჩემი ეს პოზიცია

პირველივე სხდომაზე დავაფიქსირე, თუმცა ეს პრობლემა კომისიის და თავად ფაკულტეტების გადასაწყვეტია.

ასევე, დავაყენე საკითხი პროფესურისათვის (ზოგადად მასწავლებლებისათვის) ხელფასის მომატების აუცილებლობის შესახებ.

პროფესორთა ჯგუფის პოზიციები

კონსტრუქციული დიალოგის მოლოდინი ადმინისტრაციასთან

პროფესორთა ჯგუფის წევრები, რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტების — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტების პროფესორები შედიან, უკვე დიდი ხანია ჩართულნი არიან დისკუსიებში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გარშემო. ჯგუფი ჩამოყალიბდა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და, როგორც მასში შემავალი წევრები აცხადებენ, ისინი იმთავითვე განწყობილნი იყვნენ ადმინისტრაციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. მათ ჰქონდათ კონსულტაციები როგორც ყოფილ რექტორთან სანდრო კვიტაშვილთან, ასევე, განათლების სამინისტროსთანაც გასატარებელ რეფორმებთან დაკავშირებით. ჯგუფმა მათ წარუდგინა თავისი მოსაზრებები. უნივერსიტეტის საიტზე გაიხსნა ფორუმიც, სადაც განიხილებოდა მოსალოდნელი სისტემური ცვლილებები. ჯგუფის წევრებმა მოაწყვეს თსუ-ის წესდებაში შესატანი ცვლილებების პაკეტის პრეზენტაცია.

ორი არსებითი ცვლილება, რასაც ჯგუფი აქტიურად უჭერდა მხარს, უკვე განხორციელდა — სახელმწიფო უნივერსიტეტებს დაუბრუნდათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და რექტორი შეიცვალა არჩევნების გზით. თუმცა, ჯგუფის წევრებს თორმეტკაციანი აკადემიური საბჭოს მიერ რექტორის არჩევის ფორმა ოპტიმალურად არ მიაჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროცედურას ჯგუფი არ იზიარებდა, იგი მიესალმება არჩევნების ამჟამინდელ შედეგს და დღესაც აპირებს თანამშრომლობას ადმინისტრაციასთან.

ჩვენ შევხვდით ჯგუფის რამდენიმე წევრს და მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბრეთ.

ვერ ვხედავ პრობლემას, რომ დღესვე შეიქმნას არაფორმალური სათათბირო

ლევან გორდეზიანი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით გვაქვს რეკომენდაციები, თუმცა, ზოგიერთ საკითხში, არც ვართ ბოლომდე შეთანხმებულნი. რაც ამ ეტაპზე საშურად გვეჩვენება, არის დაკავშირებული კომუნიკაციის პრობლემასთან, რაც, სამწუხაროდ, არსებობს, ერთი მხრივ, სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროფესურასა და სტუდენტებს შორის. რაც ჭორის სახით აღწევს ჩვენამდე, ძირითადად, ჩვენც იმ მიმართულებით ვფიქრობთ. ვთქვათ, ფაკულტეტების დაშლის საკითხი. მე, ჯგუფის სხვა წევრებისგან განსხვავებით, შეიძლება ნაკლებად მომხრე ვიყო ფაკულტეტების დაშლისა, თუმცა ზოგიერთი ფაკულტეტის შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება უპრიანი და ლოგიკურია. მაგრამ საწყენი იქნება, თუკი კონფიგურაცია შეიცვლება იმ ნიშნით, რომ ვიღაცას უნდა დეკანობა და შემდეგ ეს განაპირობებს ახალი ფაკულტეტის „გამოჭრას". ბევრად უფრო სასურველი იქნება, რომ პროფესურა და სტუდენტობა ჩაერთოს მსჯელობაში და დაიდოს არგუმენტირებული პროექტი — თუ რატომ ჯობია დღევანდელ კონფიგურაციას რაღაც სხვა.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონ-პროექტში, რომელიც ახლა განათლების სამინისტროში მუშავდება, ალბათ, კონკრეტული ნორმები ჩაიდება, მაგრამ ვერ ვხედავ პრობლემას, რომ დღესვე შეიქმნას არაფორმალური სათათბირო, ვთქვათ, „პროფესორთა საბჭო" დღევანდელი 12 კაციანი აკადემიური საბჭოს გვერდით და მის დასახმარებლად. რა უდგას ამას წინ? შესაძლებელია გაკეთდეს კომისიები/სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ცალკეული სფეროს რეფორმირების რეკომენდაციებს შეიმუშავებენ. მიგვაჩნია, რომ ასეთი კომისიები უნდა მუშაობდნენ სტრუქტურის (ფაკულტეტების ტრასფორმაცია), ბიუჯეტის, სახელფასო პოლიტიკის, აკადემიური კონკურსების წესის დახვეწის მიმართულებით. პრობლემებისადმი ასეთი მიდგომა აგვაცილებს მუდმივად კრიზისული მენეჯმენტის რეჟიმში ყოფნას, დაუბრუნებს საზოგადოებას მიმდინარე პროცესების ნდობას, თანამონაწილეობის შეგრძნებას, აგვაცილებს ისეთ შეცდომებს, როგორადაც, მაგალითად, მიგვაჩნია აკადემიური საბჭოს №112 დადგენილება პროფესურის ხელფასებთან დაკავშირებით. ვერც შინაარსით და ვერც შემუშავების მექანიზმით იგი ვერ უძლებს კრიტიკას და ტიპიური მაგალითია იმისა, რომ ნორმატიული აქტი ერგება ვიწრო, კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას.

ერთი და იგივე რანგის პროფესორებს არ შეიძლება ხელფასში ამხელა განსხვავება ჰქონდეთ

ომარ მუკბანიანი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები თავისი დანამატებით არსებითად ჩამორჩება სხვა ფაკულტეტებზე პროფესორ-მასწავლებელთა ხალფასებს და დანამატებს. დღევანდელი განათლების კანონიდან გამომდინარე პროფესორთა ხელფასებს შორის ასეთი დიფერენციაცია დაუშვებელია. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების არცერთ უმაღლეს სასწალებლებში სხვადასხვა ფაკულტეტების პროფესორების ანაზღაურებებს შორის ასეთი სხვაობა არ არსებობს. (არსებობს ფიქსირებული ხელფასები და დანამატები სტაჟისა და დამსახურების მიხედვით).

უნივერსიტეტის რეიტინგის განსაზღვრაში (იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში დაბეჭდილი შრომების რიცხვი, ადგილობივი და საერთაშორისო გრანტების რიცხვი) დიდი წილი აქვს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს და აქედან გამომდინარე კი უნივერსიტეტს პირველი ადგილი (და ლიდერის განმსაზღვრელი როლი) უკავია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენთა მომზადება გაცილებით უფრო ძვირია სხვა ფაკულტეტებთან შედარებით, რაც ექსპერიმენტებთანაა დაკავშირებული. ამდენად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს სჭირდება გარკვეული დოტაცია, რაც უნივერსიტეტმა ზოგადად სახელწიფოს ხელშეწყობითა და კონკრეტულად უნივერსიტეტის შიდახელშეწყობით უნდა განახორციელოს, რაც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულმა პროფესორებმა დავწერეთ მიმართვა ყოფილი რექტორის სახელზე ხელფასების გაზრდის თაობაზე. ეხლაც ვაპირებთ მსგავსი თხოვნით მივმართოთ ახალ რექტორს, რომ ჩვენი ხელფასების გაზრდაზე მიიღონ ზომები. როგორ შეიძლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ან სხვა ფაკულტეტებზე პროფესორს ჰქონდეს ხელფასი 2000 ლარის ფარგლებში და ეკონომიკის და იურიდიულ ფაკულტეტზე 3400 ლარი (მომატებული პოზიციით)? ხედავთ, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა. გარდა ამისა, მიუღებელია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასი ყოველწლიურად იცვლებოდეს მათი აქტიურობის მიხედვით.

ადმინისტრაცია არგუმენტად ყოველთვის იმას ასახელებს, რომ იურისტებს და ეკონომისტებს მეტი ფული შემოაქვთ და რომ მათ მეტი სტუდენტი ჰყავთ, მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის არგუმენტი. არ შეიძლება ერთ უნივერსიტეტში ფულის ასე განაწილება. არ შეიძლება უნივერსიტეტს რამდენიმე „ჯიბე" ჰქონდეს. ეს ეკონომისტების და იურისტების ბრალი კი არ არის, არამედ საკითხისადმი არასწორი მიდგომის პრობლემაა. სამაგიეროდ, ის ხომ ვიცით, რომ უნივერსიტეტი ვერ გაივლის აკრედიტაციას, თუ მას საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი არ ექნება? შეიძლება, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ ფიქრობდეს იმაზე, რომ ერთი და იგივე რანგის პროფესორებს არ შეიძლება ხელფასში ამხელა განსხვავება ჰქონდეთ? არ ვამბობ, რომ ვინმეს ხელფასი მოაკლონ — ამის მომხრე ჩვენ არ ვართ. ჩვენ გვინდა ხელფასის გაზრდა ისე, როგორც სხვას აქვს. ამას კი ფაკულტეტი რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გარეშე ვერ გადაწყვეტს.

ადმინისტრაციის არგუმენტები ჩემთვის გაუგებარი იყო

დიანა ძიძიგური,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტში არსებული პრობლემების ერთერთი მიზეზი, ვფიქრობთ, იყო გარკვეული შეუთანხმებლობა და გაუგებრობა ადმინისტრაციასა და პროფესურას შორის. ჩვენი აზრით, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში ცვლილებების შეტანა და სიახლეების დანერგვა უნდა ხდებოდეს პროფესორებისა და სტუდენტების აზრის გათვალისწინებით, რომელთაც უფრო სიღრმისეულად და ზუსტად ესმით მათი განხორციელების აუცილებლობა. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული საშტატო ერთეულების რაოდენობის განსაზღვრის დროს სასწავლო პროცესის სპეციფიკა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ დისციპლინების დიდი უმრავლესობის სწავლება გულისხმობს ლექციის, პრაქტიკულისა და ლაბორატორიის ჩატარებას. სემინარისგან განსხვავებით, რომელსაც ესწრება 30-მდე სტუდენტი, პრაქტიკულებზე სტუდენტების რაოდენობა ორჯერ უფრო მცირე (15 სტუდენტი) უნდა იყოს. შესაბამისად, პედაგოგების მეტი რაოდენობაა საჭირო. ამით არის განპირობებული მოწვეული პედაგოგების სიმრავლე. რატომ არ შეიძლება ასეთ შემთხვევაში საშტატო განრიგში გარკვეული ცვლილებების შეტანა? ასევე, რატომ ეთვლება ერთ ფაკულტეტზე პროფესორს საკონსულტაციო საათები, მეორეზე კი არა და ა.შ. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ჩვენს მოსაზრებებს და ერთად დავძლევთ პრობლემებს.

მოამზადა
ნინო კაკულია

კომენტარი

ვემზადებით მნიშვნელოვანი რეფორმისათვის აკადემიური პერსონალის ხელფასების განსაზღვრასთან დაკავშირებით

ლადო პაპავა,
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი:

— სხვადასხვა ფაკულტეტების მიხედვით ხელფასების დიფერენცირების პრობლემა უნივერსიტეტში ახლა არ შექმნილა. ეს საკითხი არაერთხელ დამდგარა, მათ შორის, ჩემს წინასაარჩევნო პერიოდშიც, სანამ რექტორი გავხდებოდი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფაკულტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, როცა ამ თემასთან დაკავშირებით კითხვებს მისვამდნენ, ყოველთვის ვპასუხობდი, რომ მე ის რექტორი არ ვიქნები, რომელიც ხელფასების გათანაბრებას უზრუნველყოფს და იმასაც ვამბობდი, რომ თუ გინდათ სოციალისტი რექტორი, სხვას მიეცით ხმა-თქო. ამდენად, მე გათანაბრების წინააღმდეგი ვარ. იურიდიულ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს, სხვა ფაკულტეტებთან შედარებით, უფრო მეტი შემოსავალი აქვთ, მაგრამ მათ რჩებათ შემოსავლის 40%-მდე, მაშინ როდესაც სხვა ფაკულტეტებს შემოსავლის 70%-ზე მეტი ერგებათ ხოლმე. მედიცინის ფაკულტეტი კი აქამდე საერთოდ წამგებიანი იყო, მხოლოდ ახლა ახერხებს ხარჯების დაფარვას. ამიტომ გათანაბრების საკითხი ასე პრიმიტიულად ვერ გადაწყდება.

შემდეგი, რაც ასევე უნდა ითქვას, არის ის, რომ მოქმედი კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს ხელფასების გამოთანაბრებას. „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შესულ ბოლო ცვლილებაში, რომელსაც პრეზიდენტმა ვეტო დაადო და შემდეგ პარლამენტმა მაინც დაძლია, მოყვანილია კოეფიციენტები — რამდენი უნდა იყოს რექტორის ხელფასი, კანცლერის და ადმინისტრაციული თანამდებობის პირების სარგო და ყველგან ფიგურირებს ფრაზა — „პროფესორის მაქსიმალური სარგო". ანუ თუ კანონში გაჩნდა სიტყვა — „მაქსიმალური სარგო", ეს ნიშნავს იმას, რომ ხელფასი ყველას ერთნაირი ვერ ექნება.

ჩვენ ვიწყებთ სერიოზულ რეფორმას ხელფასების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ჩემი ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი. მასში მონაწილეობას მიიღებენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საფინანსო დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი და პერსონალის მართვის დეპარტამენტი. საუბარია იმაზე, რომ თითოეული პროფესორის შრომის ანაზღაურების განსაზღვრისთვის შევიმუშაოთ კრიტერიუმები იმ სტანდარტების მიხედვით, რაც საერთაშორისო პრაქტიკაშია გამოყენებული. ამ კომისიამ, რომელიც აკადემიური პერსონალის ხელფასების დარეგულირებასთან დაკავშირებით შევქმენით, მუშაობა უნდა დაასრულოს ნოემბერში. ეს პროექტი შემდეგ დაეგზავნება ყველა ფაკულტეტს განსახილველად და ამის შედეგად ჩამოვაყალიბებთ უკვე შრომის ანაზღაურების თვისობრივად ახალ სისტემას. თუმცა, ხაზს ვუსვამ, რომ გათანაბრების პრინციპი არ არის ამოსავალი. მე არ მომიტყუებია არავინ და ჩემს წინასაარჩევნო პერიოდშიც არავისთვის მითქვამს, რომ ვემხრობი გათანაბრების პრინციპს. რაც შეეხება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც 4 ოქტომბერს აკადემიურმა საბჭომ მიიღო, დროებითია და ხაზს ვუსვამ: ის, რაც იყო დანამატი, შევიდა სარგოში, ძირეულ ცვლილებას კი ხელფასებში ვერ გავითვალისწინებდით, რადგან ამ წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია. ახლო მომავალში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანაზღაურების წესის არსებით შეცვლას ვგეგმავთ.

პასუხი კითხვაზე

რამდენად საფუძვლიანია პრეტენზია შრომის არათანაბარი ანაზღაურების თაობაზე

? ***პროფესორთა ერთი ჯგუფის მხრიდან არსებობს პრეტენზია შრომის არათანაბარი ანაზღაურების თაობაზე ფაკულტეტების მიხედვით. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები აცხადებენ, რომ მათი აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული შრომითი აქტივობა (აქ იგულისხმება იმპაქტ ფაქტორიან გამოცემებში სტატიების ბეჭდვა, სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები და ა.შ.) არანაკლებია, მაგალითად, ეკონომისტების და იურისტების შრომით აქტივობაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შრომის ანაზღაურება გაცილებით ნაკლებია. საინტერესოა თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით...***

მოსაზრება

ქეთევან მარშავა,
აკადემიური საბჭოს წევრი, ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— დასახელებული აქტივობები: იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში სტატიების ბეჭდვა, სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები, ექსპერიმენტები და ა.შ. ერთმნიშვნელოვნად ქმნის იმიჯს და მათ სხვა ფაქტორებთან ერთად ის გარემოება განაპირობებს, რომ საქართველოს სამეცნიერო ფონდების მიერ, ძირითადად, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების პროექტები ფინანსდება, ხოლო ეკონომიკის პროფილით, საშუალოდ, 40 პროექტიდან — ერთი ფინანსდება. ამდენად, უნივერსიტეტების ბენეფიციარი ფაკულტეტების პერსონალს აქვს შესაძლებლობა — გაზარდოს თავისი ანაზღაურება გრანტებით განხორციელებული კვლევების სახით და ზრდის კიდეც... გარდა იმიჯისა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ფასდება და აკრედიტაციას გადიან სტუდენტთა რაოდენობით (სწავლების სამივე საფეხურზე), სასწავლო პროგრამების, სტუდენტებისა და პროფესურის თანაფარდობის მიხედვით. ამ კომპონენტებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დონორის ფუნქციის მატარებელია, ვინაიდან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობა დიდია, ხოლო აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რიცხოვნობა მცირე, რაც განაპირობებს ფაკულტეტის მაღალ შემოსავალს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი (40%-მდე) რჩება ფაკულტეტის განკარგულებაში. აქედან გამომდინარე, პერსონალის მიერ გაწეული შრომის ინტენსივობა ძალზე მაღალია. კერძოდ, ბაკალავრიატში ლექციები მიმდინარეობს 150 სტუდენტამდე შემდგარ ნაკადებში (5-6 აკადემიური ჯგუფი), ხოლო სასემინარო მუშაობა – 25-30 სტუდენტთან, რომლებიც ყოველკვირეულად ფასდება მინიმუმ სამი კომპონენტით; მაგისტრატურაში სალექციო ნაკადი 75-100 სტუდენტისგან შედგება, ხოლო სასემინარო მუშაობა 25-30 სტუდენტთან მიმდინარეობს და შეფასების კრიტერიუმების რიცხვი აქაც ანალოგიურია. ყოველივე ამას ემატება ის რეალობა, რომ სოციალისტური სისტემის დაშლამ ეკონომიკაში ცოდნის აბსოლუტური განახლების აუცილებლობა წარმოქმნა. სწორედ დასაქმებული აკადემიური პერსონალის შრომის მაღალი ინტენსივობისა და შედარებით მაღალი ანაზღაურების შედეგად, ფაკულტეტზე შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების მრავალი ახალი სახელმძღვანელო და სხვა სახის სასწავლო ლიტერატურა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი სამეცნიერო მუშაობის უზრუნველყოფას (საკონფერენციო გადასახადის თუ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად საჭირო და სხვა სახის დანახარჯების დაფარვას) თავისი ხელფასით ახდენს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო პროექტების მსგავსად ეკონომიკური პროფილის კონფერენციების დაფინანსებაც ასევე არ ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და აქაც ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალობებისადმი მხარდაჭერა ჭარბობს. საერთაშორისო სიმპოზიუმებზე აკადემიური პერსონალის მივლინებას ფაკულტეტი მხოლოდ 60%-ით აფინანსებს (ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სიმწირის გამო). დარჩენილი თანხა პერსონალის მიერ დასაფარია (ხაზს ვუსვამთ — ესაა მინიმალური დანახარჯები, ხოლო რეალური გაცილებით მეტია).

აქტუალური

რა მიზნით მუშავდება აკადემიური პერსონალის აქტივობების შეფასების წესი?

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წინასწარი განხილვისთვის პროექტის სახით გაავრცელა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“, უნივერსიტეტის პროფესორთა არასაკონტაქტო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის სქემა და შეფასების კრიტერიუმები, ანუ საუბარია თსუ-ში მოღვაწე აკადემიური პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული აქტივობების შესახებ ინფორმაციის თავმოყრასა და შეფასებაზე. ეს ინფორმაცია დაეფუძნება იმ თვითშეფასების კითხვარს, რომელზეც პასუხების გაცემა თითოეულ პროფესორს დაევალება. პროფესორის მიერ გაწეული მუშაობის საბოლოო შეფასებამ შესაძლოა იმოქმედოს აკადემიური კონკურსების შედეგებზე ამა თუ იმ პროფესორისთვის პრივილეგიის მინიჭების კუთხით.

რატომ გახდა აღნიშნული წესის შემუშავება აქტუალური ამ ეტაპზე, რა შენიშვნები აქვთ პროფესორებს და რა შედეგები მოჰყვება ამ წესის ამუშავებას? — ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თამარ ვეფხვაძე**:

მაია ტორაძე

— როდის შემუშავდა ეს დოკუმენტი და რა დაედო მას საფუძვლად? ჩართული იყვნენ თუ არა სპეციალისტები მის შემუშავებაში?

— აღნიშნული დოკუმენტის სამუშაო ვერსია ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო მზად, მაგრამ მას მსვლელობა არ მისცემია, რადგან ვერ მოხერხდა ფაკულტეტების პოზიციათა შეჯერება. გამოითქვა ეჭვები, რომ წესის ამოქმედებას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვებოდა.

მიმდინარე წელს, უნივერსიტეტის ახალი რექტორის, ბატონი ლადო პაპავას არჩევის შემდეგ კვლავ დაისვა საკითხი – როგორ ვაფასებთ აკადემიური პერსონალის აქტივობებს და არის თუ არა შემუშავებული ამ ტიპის მარეგულირებელი დოკუმენტი? ცხადია, ჩვენ ბატონ ლადოს წარვუდგინეთ ეს პროექტი (რომელიც, ჯერჯერობით, მხოლოდ „შავი“, სამუშაო ვარიანტია), რომლის დასახვეწად, უნივერსიტეტის რექტორის წინადადებით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი. მასში გაერთიანებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტების წარმომადგენლები. ჯგუფს ხელმძღვანელობს ვიცერექტორი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დარგში, ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი, რომელიც ამ დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტისთვის გაცნობას გეგმავს. ექსპერტის ვიზიტს ოქტომბრის ბოლოს ველოდებით.

პროექტი განხილვისთვის გადაცემული აქვს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დეკანატს აკადემიური პერსონალისთვის გასაცნობად. მის განხილვაში მონაწილეობის საშუალება აქვს თითოეულ პროფესორს, უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ასევე, ფაკულტეტების ადმინისტრაციების თანამშრომლებს. დოკუმენტის შეჯერებული ვარიანტი არაუგვიანეს ნოემბრისთვის უნდა დამტკიცდეს.

— თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს პროფესორთა თვითშეფასების კითხვარი მათ ყველა აქტივობას? მიენიჭება თუ არა მასში უპირატესობა პროფესორის რომელიმე დატვირთვას?

— განათლების რეფორმის ახალ პლატფორმაში არის პუნქტი, რომელიც მოიაზრებს პროფესორის საქმიანობის რანჟირებას შემდეგი ასპექტების მიხედვით: სასწავლო საქმიანობა, სამეცნიერო საქმიანობა და ადმინისტრაციული საქმიანობა. ბუნებრივია, აკადემიური პერსონალი სამივე საქმიანობას უნდა ახორციელებდეს, მათ შორის, ადმინისტრაციულსაც, თუ მას ეს დატვირთვა, ანუ ადმინისტრაციული თანამდებობა აქვს (მით უფრო, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ბოლო რედაქცია უკვე აღარ გვაძლევს იმ ფუფუნების უფლებას, რომ აკადემიური სტატუსის გარეშე ავირჩიოთ უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი და სხვა ადმინისტრაციული პერსონალი).

როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ამ დატვირთვებს შორის? სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის შედეგად ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ ეს საქმიანობები ერთმანეთის საპირწონედ კი არ დაიდოს, არამედ თავად პროფესორმა გადაწყვიტოს, რომელი მიმართულებით იყოს ორიენტირებული მისი საქმიანობა — პრიორიტეტი მიანიჭოს უფრო მეტად სასწავლო კომპონენტს (მაშინ მას, ბუნებრივია, უფრო მეტი საათობრივი და საკონსულტაციო დატვირთვა ექნება), სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას (ასეთ შემთხვევაში წლის ბოლოს მან თავისი კვლევის პროდუქტი უნდა წარმოადგინოს) თუ ადმინისტრაციულ საქმიანობას.

დოკუმენტი სწორედ იმიტომ გავრცელდა განსახილველად, რომ თავად პროფესორებმა ჩამოაყალიბონ, კიდევ რა შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო, სასწავლო ან ადმინისტრაციულ აქტივობად და რომელი ინდიკატორები უნდა გაიწეროს ამ აქტივობების ეკვივალენტურად. თვითშეფასების კითხვარი თავად პროფესორის მობილიზებას შეუწყობს ხელს ბალანსის ძიების თვალსაზრისით: რომელ სეგმენტში უფრო მეტად დაიხარჯება იგი, რა აქტივობა უფრო მეტად დაეხმარება აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მომავალ კონკურსში და ა.შ. ვთქვათ, პროფესორმა პრიორიტეტი მიანიჭა სასწავლო კომპონენტს და არა სამეცნიეროს ან ადმინისტრაციულს, ასეთ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალ კონკურსში მას კოლეგამ „აჯობოს“ იმის გამო, რომ იგი კონკურსზე სამეცნიერო რეკვიზიტით სათანადოდ „ხელდამშვენებული“ ვერ მივა... თუმცა, მის არჩევანში ვერავინ ჩაერევა.

— რამდენად აქტიურობენ პროფესორ-მასწავლებლები პროექტის განხილვის პროცესში?

— დოკუმენტი ჯერ დახვეწის პროცესშია, სამუშაო ჯგუფში უკვე ვიღებთ გარკვეულ შენიშვნებს და წინადადებებს, თუმცა, კოლეგების ჩართულობა და აქტიურობა კონსტრუქციულ წინადადებებთან დაკავშირებით უკეთესი თანამშრომლობის სურვილს აჩენს.

მინდა აუცილებლად აღვნიშნო — ეს დოკუმენტი არაა მიმართული რაიმე სახის დასჯად ქმედებებზე, რომ ვინმეს ხელფასი ჩამოაკლდეს. პირიქით. რამდენადაც უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკა იცვლება და მნიშვნელოვნად იზრდება პროფესორ-მასწავლებლების ხელფასი, ბუნებრივია, მათი ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობაც უნდა გაიზარდოს. შესაბამისად, გარკვეულ კონტროლზე იქნება აყვანილი, ვინ როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

— როგორ უნდა დაითვალოს პროფესორების მიერ გაწეული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუკი ერთ გრაფაში იწერება ჩატარებული ლექციების რაოდენობა, მაგრამ ერთი 100-კაციან აუდიტორიაში შედის და მეორე — 20-კაციანში? მათი ძალისხმევა — საგნის სწავლებაზე, დავალებების გასწორებაზე, კონსულტაციებზე დახარჯული დრო და ენერგია ხომ სხვადასხვაა?

— დიახ, სხვადასხვაა და ამის თაობაზეც შემოვიდა წინადადებები. ადამიანი 8 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში აქტიური უნდა იყოს და როგორ გადაანაწილებს იგი დროს სამეცნიერო, სასწავლო თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაზე, მისი საქმეა, თუმცა ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ 20 კაციან აუდიტორიაში გატარებული 2 საათი იდენტურია 300 კაციან აუდიტორიაში გატარებული 2 საათისა. არითმეტიკულად მართლაც ასეა, მაგრამ, ხარისხობრივად, ამ 2 საათის განმავლობაში სხვადასხვა მასშტაბის აუდიტორიაში დახარჯული ენერგია არ ემთხვევა ერთმანეთს. ამას დაუმატეთ დავალებები და კონსულტაცია... ცხადია, ამ აქტივობების ციფრებში დათვლა შეუძლებელია, ის უკვე სხვა, თვისობრივი კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. დოკუმენტის პროექტის განხილვაში კოლეგების მეტი ჩართულობა და აქტიურობა იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ, საბოლოოდ, წინადადებების შეჯერებით გადავწყვიტოთ – რა ფორმა შეიძლება მიეცეს როგორც მთელ დოკუმენტს, ისე მის ერთერთ დანართს – პროფესორთა თვითშეფასების ანკეტა-კითხვარს, რათა მაქსიმალურად გამართული და სასარგებლო დოკუმენტი მივიღოთ.

— სად მოიყრის თავს ეს შეფასებები პროექტის მიხედვით და ვინ აღრიცხავს პროფესორის აქტივობის მაჩვენებელს?

— სავარაუდოდ, თვითშეფასების კითხვარს ყველა პროფესორი წლის ბოლოს შეავსებს და ეს მას თავადაც დაეხმარება, დაბალანსოს საკუთარი საქმიანობა: გადახედოს — რა კომპონენტი აქვს ძლიერი და რა – სუსტი, საით მიმართოს მეტი ძალისხმევა მომავალ წელს. ეს მონაცემები დეკანატში მოიყრის თავს. ამ გამოცდილებას დღესაც იყენებს იურიდიული ფაკულტეტი და საკმაოდ კარგი მაჩვენებელი აქვს.

ვიმეორებ – ეს არ არის რაიმე ტიპის სადამსჯელო რეგულაცია, ეს არის მცდელობა — აღვწეროთ ის, რასაც მართლა ვაკეთებთ და ჩვენივე საქმიანობა სისტემაში მოვიყვანოთ.

— თუ არის უკვე გამოხმაურება და რაზე ამახვილებენ ყურადღებას პროფესორები?

— ძალიან გონივრული და პრაგმატული წინადადებები შემოდის. მოკლედ, დაიწყო აქტიური მსჯელობა და ცოტა ხანში დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს. ამის შემდეგ იგი ჯერ წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცდება, შემდეგ კი აკადემიურ საბჭოზე. ნოემბრის ბოლოსთვის დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს და იანვრიდან ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების წლიური მუშაობა ამ დოკუმენტის მიხედვით შეფასდება.

P.S. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მზადაა, ადგილი დაუთმოს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ განხილვას და დისკუსიას ამ საკითხებზე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲗᲝᲤᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲗᲡᲣ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის როლანდ თოფჩიშვილის ახალი სახელმძღვანელო „ეთნოლოგიური მეცნიერებების შესავალი“ და მონოგრაფია „სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან“ კარგი საჩუქარია ეთნოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის, რომლებიც „განებივრებულნი“ არიან ამ დარგში შესაბამისი ლიტერატურით. აღსანიშნავია, რომ „ეთნოლოგიური მეცნიერებების შესავალი“ როლანდ თოფჩიშვილის მეშვიდე სახელმძღვანელოა, მას სხვა მონოგრაფიებთან ერთად უკვე გამოცემული აქვს „საქართველოს ეთნოლოგია“, „სახელების ეთნოლოგია და ისტორია“, „ამერიკის ეთნოლოგია“, „ევროპის ეთნოლოგია“, „კავკასიის ეთნოლოგია“ და „თეორიული ეთნოლოგია“. მეცნიერის აზრით, ამგვარი ლიტერატურის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ დარგით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობის აღზრდას.





„ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲔᲗᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ“

ᲔᲗᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

„Ეთნოლოგია არის ადამიანის შესახებ არსებული ცოდნის თავმოყრის ადგილი: ეს უზარმაზარი შენობის დამაგვირგვინებელი თაღია, რომელიც სხვა მეცნიერებებს, ვითარცა სვეტებს, ემყარება“, — ადოლფ ბასტიანის ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ახალ სახელმძღვანელოს, რომლის ანალოგიც თავისი კონსტრუქციით, ჯერჯერობით, არც ქართულ რეალობაში და არც სხვა ენაზე არ არსებობს. „ეთნოლოგიური მეცნიერებების შესავალი“, ძირითადად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი და მისი ძირითადი მიზანია, ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტს — თუ რას იკვლევს მეცნიერების ეს დარგი, რადგან, თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. სახელმძღვანელოში სწორედ ამ კავშირებზეა საუბარი.

სახელმძღვანელოს ავტორი ეთნოლოგიას „მომავლის მეცნიერებას“ უწოდებს, რომელიც კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს მოიცავს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ხალხების კულტურულ ურთიერთობებში, დაახლოებაში, დაძაბულობის კერების შესუსტებასა და გაქრობაში. „პლანეტაზე არასდროს ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ უკულტურო ხალხები და საზოგადოებები. პირველი „ჰომო საპიენსიც“ კი უკვე კულტურის მატარებელი იყო, მაგრამ ყველა ეთნოსმა, კულტურის განვითარების თვალსაზრისით, სხვადასხვა გზა გაიარა — ზოგმა მაღალი კულტურა შექმნა, ზოგიც კულტურის დაბალ საფეხურზე დარჩა. ეთნოლოგებისთვის ყველა კულტურა ერთნაირად საგულისხმო და გასაფრთხილებელია, რადგან, რაც ადამიანთა საზოგადოება არსებობს, ათასობით ეთნოსი გაქრა. ასეთი საფრთხის წინაშე არაერთხელ იდგა ქართველი ერი და ქართული ეთნიკური კულტურა. მაგრამ მიზეზთა გამო იგი გადარჩა. ეს საფრთხე დღესაც რეალურად არსებობს. ქართული კულტურის გადარჩენისთვის ბევრად დაგვეხმარება საქართველოსა და სხვა ხალხების ეთნოლოგიის ცოდნა და საკუთართან ერთად სხვების დაფასება“, — ამბობს როლანდ თოფჩიშვილი.

როლანდ თოფჩიშვილი სახელმძღვანელოში ეთნიკური კონფლიქტების მიზეზებზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ „პოლიეთნიკური საქართველოს ბევრი პრობლემა, მათ შორის, ეთნიკური კონფლიქტების სახელით ცნობილი დაპირისპირებები ეთნოლოგიური ცოდნის დაბალი შედეგია. ეთნოლოგიის ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ თანამედროვე ეთნიკური პროცესების მექანიზმები. სწორედ ასეთი მიდგომით შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ეთნიკური ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს ბევრი „საიდუმლო“. მისი განმარტებით, თანამედროვე ეთნოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: თეორიულ-შემეცნებითი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, კულტურულ-აღმზრდელობითი და პროგნოზული. ამავე დროს კი, ეთნოლოგიის მნიშვნელოვანი ფუნქცია და არსებითი მნიშვნელობა ყოველი ცალკეული ეთნოსის თვითშემეცნებაც არის, სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას ეთნოლოგები.

სახელმძღვანელოში ცალკე თავებად გამოყოფილია საკითხები: ეთნოლოგია და ისტორია, ეთნოლოგია და გეოგრაფია, ეთნოლოგია და ფოლკლორი, ეთნოლოგია და სოციოლოგია, ეთნოლოგია და ფსიქოლოგია, ასევე, მსოფლიოს ხალხთა ტრადიციები, მათი ეთნიკური, კულტურული და სოციალური მახასიათებლები და სხვა.

როლანდ თოფჩიშვილმა სახელმძღვანელო მიუძღვნა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნას, რომელმაც თაობები აღზარდა და ავტორიც მას უმადლის ამ სფეროში თავის წარმატებას.

ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

„Სამცხე-ჯავახეთის შესახებ ეთნიკური ისტორიის კვლევას თეორიულ ღირებულებებთან ერთად პრაქტიკულიც გააჩნია, რადგან ამ ძირძველი ქართული მიწა-წყლის შესახებ მავანნი და მავანნი ფალსიფიცირებულ ისტორიას ქმნიან, რათა ამ ტერიტორიების არაქართული სამყაროსადმი კუთვნილება „დაასაბუთონ“, — წერს ავტორი თავისი ახალი წიგნის „სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან“ შესავალში, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების — სამცხისა და ჯავახეთის ეთნიკურ კვლევას ეხება.

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული XIX საუკუნის კამერალური აღწერის დავთრების გაცნობით და საოჯახო სიებზე დაყრდნობით მეცნიერი შეეცადა დეტალურად აღენერა სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და დეეთნიზაციის პროცესი. როლანდ თოფჩიშვილის ინფორმაციით, სწორედ ამ მასალების გაცნობის შემდეგ დადგინდა, რომ ჯავახეთის ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლდა. „ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაციის შესახებ წიგნი 2000 წელს დაისტამბა, თუმცა მას შემდეგ სხვა ახალი მონაცემებიც გამოაშკარავდა. ამიტომ ჯავახთა მიგრაციის ისტორია ამ წიგნში მეორე ნაწილის სახით იბეჭდება. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთაგან სამცხე-ჯავახეთს განსაკუთრებით მძიმე ხვედრი ხვდა. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს მხარეები ოსმალეთის იმპერიამ საქართველოს ჩამოაშორა. ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველებს თავს ისლამი მოახვიეს. სარწმუნოების შეცვლამ ქართველთა დეეთნიზაცია გამოიწვია, რომლის დროსაც ქართველებმა თანდათან დაკარგეს რელიგია, ენა და ეთნიკური ცნობიერებაც. XIX საუკუნის 20-იან წლებში კი რუსეთის იმპერიამ შეცვალა ქართული მხარეების ეთნიკური შემადგენლობა. სწორედ ამ დროიდან მოხდა ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლება და ამ ადგილებში უცხო ეთნოსთა დასახლება. წიგნი ამ ორი მხარის ეთნიკური ისტორიის პრობლემებს ეხება.

„ძნელი არ არის იმის მიხვედრა, ვის აქვს პრეტენზია სამცხე-ჯავახეთზე და ვინ ქმნის ყალბ ისტორიას, თუმცა, საარქივო წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები სულ სხვას ღაღადებენ: კერძოდ, იმას, რომ თურქებად გამოცხადებული ქართველი მაჰმადიანები სინამდვილეში არიან ქართველი მაჰმადიანები, რომლებმაც შედარებით გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღეს მაჰმადიანობა. ჩემი მიზანი იყო დამესაბუთებინა, რომ ეს მხარე თავიდანვე იმ ქართველებით იყო დასახლებული, რომლებიც გვიან გამაჰმადიანდნენ. წიგნში საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით კონკრეტული ფაქტებია მოყვანილი — თითოეულ სოფელში რომელი გვარის ქართველები ცხოვრობდნენ და როგორ მოხდა მათი გამაჰმადიანება და გათურქება. 1860, 1886 და 1873 წლების აღწერის დავთრების მიხედვით ესენი იყვნენ ქართველები. ამ წიგნში საუბარია იმაზეც, როგორ მოხდა მათი გამუსლიმება და გამაჰმადიანება. დღესაც ბევრს ისე აქვს ცნობიერება დამახინჯებული, რომ გაგონება არ უნდა, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ“.

წიგნის მეორე ნაწილში საუბარია ჯავახეთზე. როგორც ცნობილია, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ ჯავახეთში სომხური მოსახლეობა გადმოასახლა, იქ ნასოფლარები იყო, მაგრამ ძველად აქ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა. ჯავახეთის ქართული მოსახლეობა ოსმალეთის იმპერიის დროს ინტენსიურად გადმოსახლდა XVII-XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქართლში. როდესაც რუსეთის იმპერია შევიდა სამცხე-ჯავახეთში, ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველები თითქმის მთლიანად აიყარნენ და ოსმალეთის სიღრმეში, არტაანში დასახლდნენ, მაგრამ უფრო გვიან, როდესაც რუსეთმა არტაანი შემოიერთა, იქიდანაც გადასახლდნენ, რადგან რუსეთის იმპერიაში ცხოვრება არ უნდოდათ. ავტორის თქმით, წიგნის დაწერის ძირითადი მიზანი ისიც იყო, რომ გაექარწყლებინა ვერსია, თითქოს ჯავახეთი არაქართული დასახლება იყო და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ჯავახეთი ყოველთვის ქართული გახლდათ და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები ქართველთა ნასახლარებზე და ნაფუძარზე დასახლდნენ.

როლანდ თოფჩიშვილის თქმით, სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის რეალობა. „კარგი იქნება, რომ წიგნი სომხურად, რუსულად და ინგლისურადაც ითარგმნოს, რათა ჩვენმა მეზობლებმა, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიებზე პრეტენზიები აქვთ, იცოდნენ, რომ ეს ტერიტორიები ოდითგან ქართველთა განსახლების არეალი იყო“, — აცხადებს ავტორი.



ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

სტუდ-ქუჩა

№4

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

გამოვუცხადოთ თუ არა ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას?

სტუდენტების მოსაზრება

სალომე გორგოძე

გიორგი ლოლაშვილი

სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია. უნდა მონაწილეობდეს თუ არა საქართველო სოჭის ოლიმპიადაზე? — ამ კითხვაზე პასუხად საზოგადოებამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში არაერთი განსხვავებული აზრი მოისმინა, ერთნი ოლიმპიადაში მონაწილეობის აუცილებლობაზე საუბრობენ, მეორენი კი ოლიმპიადის ბოიკოტირებას მიიჩნევენ სწორ გადაწყვეტილებად.

7 ოქტომბერს საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ძალაში რჩება 2 მაისს კომიტეტის რიგგარეშე სესიაზე მიღებული სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. „მიუხედავად ჩვენს საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, სესიის დელეგატებმა, უწინარესად, იხელმძღვანელეს ოლიმპიური ქარტიის ფუძემდებლური პრინციპებით, ქართული სპორტის ინტერესებით, იმ ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოლიმპიადაში ჩვენს მონაწილეობაზე უარის თქმას. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში ამგვარი გაუგებრობები არ მოხდება და ჩვენ არ მოგვიწევს 2013 წლის 2 მაისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ცნობილია პრემიერ-მინისტრის პოზიციაც: 16 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა უნდა მიიღოს. „ოლიმპიადის ჩატარებას მივესალმებით. საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, როგორც მეზობელი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ოლიმპიადა მშვიდობიანად და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდეს,“ — აღნიშნა მან.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, მის ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. არასამთავრობო ორგანიზაციების — „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და „სამართლიანი არჩევნების“ ორგანიზებით შემუშავდა პეტიცია — „პროტესტი სოჭის ოლიმპიადას!“ ხელმოწერების შეგროვება 8 ოქტომბერს დაიწყო. „გვსურს მოვუწოდოთ საქართველოს მთავრობას და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, შეცვალონ გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას და ახდენს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, ვთვლით, რომ ყოვლად გაუმართლებელი იქნება საქართველოს მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში,“ — ნათქვამია პეტიციაში.

გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტმა“ გადაწყვიტა, ამ თემაზე სტუდენტების აზრი გაეგო და, ასევე, შეეტყო, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ საკითხის აქტუალურობის წინაპირობებსა და ბოიკოტირების პერსპექტივებზე.

არის თუ არა სოჭის ოლიმპიადაზე მონაწილეობა/არმონაწილეობის მიღება პოლიტიკური გადაწყვეტილება? ამ კითხვაზე ლაშა სენაშვილი ასე გვპასუხობს: „სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი იმთავითვე პოლიტიზებულია, რადგან როგორც ახლანდელი, ისე წინა ხელისუფლება აფიქსირებდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და არ უტოვებდა არჩევანის თავისუფლებას ოლიმპიურ კომიტეტს. ძველი ხელისუფლების შემთხვევაში უპირობო იყო ოლიმპიადის ბოიკოტი, ხოლო ახალი ხელისუფლება ოლიმპიადაში მონაწილეობას განიხილავს, როგორც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის არსებულ ერთერთ ინსტრუმენტს. შესაბამისად, როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლება ოლიმპიადაში მონაწილეობას განიხილავდა, როგორც პოლიტიკას“. თუმცა, სალომე ჩარკვიანი მიიჩნევს, რომ სპორტსმენების გადასაწყვეტია, მიიღებენ თუ არა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას: „გასაგებია, რომ ემოციურად ბევრი ადამიანისთვის რთულია მათი სახელმწიფოს სახელით რუსეთში სპორტსმენების ჩასვლა და იქ ასპარეზობა, მაგრამ აქ სასწორზე ორი რამ დევს: ამ ადამიანების სრულიად გამართლებული, მაგრამ მაინც ემოცია და ამ სპორტსმენების შეიძლება ერთადერთი შანსი – მათ კარიერაში ყველაზე უფრო მაღალ საფეხურზე მონაწილეობის მიღება. რუსეთი ყველანაირად ცდილობს, საქართველოს ხელისუფლება რაც შეიძლება მწვავე დილემის წინაშე დააყენოს და ამიტომ, ამ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავლად ვთვლი სახელმწიფოს მხრიდან სრულ ჩაურევლობას სპორტის კომიტეტის საქმეში. სპორტსმენებმა თავად უნდა გადაწყვიტონ — რისი გაკეთება უნდათ. სახელმწიფოს არ აქვს უფლება მოღალატეებად გამოაცხადოს ისინი წასვლის შემთხვევაში.“ სალომეს ეთანხმება თამარ ნიკოლეიშვილიც და მიიჩნევს, რომ ეს ინდივიდუალური მსჯელობის საგანია და, რამდენად გულწრფელიც არ უნდა იყოს საზოგადოების ემოცია, ყოველთვის უკეთესია, საკუთარი თავის პოტენციური „დაზარალებულის“ ადგილას წარმოდგენა: „ეს ადამიანები მეტჯერ აღარ იქნებიან 20-25 წლისანი, ზამთრის ოლიმპიური თამაშები კი მხოლოდ 4 წლის შემდეგ გაიმართება. გამოდის, რომ მათ ვეუბნებით, დაივიწყეთ თქვენი ოცნებები, მიზნები, მისწრაფებები და სანაცვლოდ მიეცით მაგალითი მომავალ თაობებს.” თამარ კურატიშვილი კი მიიჩნევს, რომ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირება სახელმწიფოს მხრიდან სპორტსმენების მიმართ დანაშაული იქნება. მისთვის მთავარი სპორტსმენების თავისუფალი ნებაა, ამ ნებაზე ყოველგვარი ზემოქმედება კი — არადემოკრატიული მიდგომა: „რამდენად სამართლიანია იმის მოთხოვნა, რომ სპორტსმენებს, რომლებიც 4 წელი ემზადებოდნენ კარიერაში ნაბიჯის წინ გადასადგმელად და შესაძლოა ეს შანსი 4 წლის შემდეგ აღარც ჰქონდეთ, სახელმწიფომ აუკრძალოს ოლიმპიადაში მონაწილეობა?! ამ ადამიანებს აქვთ თავიანთი ნება და ისინი უნდა წყვეტდნენ — უნდათ წასვლა, თუ არა.”

შედარებით კომპრომისული გადაწყვეტილების მომხრეა თამარ ქუმსიაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ოლიმპიადის უპირობო ბოიკოტირება „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ იქნება, თუმცა ფიქრობს, რომ უკეთესია, სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღონ და სოჭშივე დააფიქსირონ პროტესტი რაიმე ფორმით: „არ აქვს მნიშვნელობა, რა ფორმის პროტესტს მიმართავენ სპორტსმენები. მთავარია ის, რომ ოლიმპიური მარათონის მეშვეობით შევძლოთ მყარი პოზიციის დაფიქსირება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რომ ჩვენ არ შევეგუებით პოლიტიკურ მანიპულაციებსა თუ პროვოკაციებს მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან, მით უფრო მშვიდობის სიმბოლოდ აღიარებულ, საერთაშორისო დონის სპორტულ მარათონზე,“ – ამბობს თამარი. თუმცა, შოთა ფალავანდიშვილი მიიჩნევს, რომ სპორტსმენების ბედზე მაღლა ამ შემთხვევაში ეროვნული ინტერესები დგას: „მესმის, რომ სპორტსმენებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც მათი კარიერის მანძილზე შეიძლება აღარც განმეორდეს, თუმცა ჩემთვის ისიც წარმოუდგენელია — რა შეიძლება დადგეს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. თუ რომელიმე სპორტსმენს მაინც სურს მიიღოს მონაწილეობა, კი ბატონო, მიიღოს, ოღონდ დამოუკიდებლად და არა ქართული დროშის ქვეშ.“ შოთა მიიჩნევს, რომ ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელია იმაზე ლაპარაკიც კი, რომ საქართველომ დამპყრობელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამართულ რაიმე ღონისძიებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, როდესაც რუსეთს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული აქვს და საქართველოს განუყოფელი ნაწილები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

ჩვენ ვკითხეთ სტუდენტებს, იქნებოდა თუ არა სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების თემა ასეთი აქტუალური საზოგადოებაში, რომ არა დვანში მიმდინარე სადემარკაციო სამუშაოები და ოლიმპიურ მეჩირაღდნეთა შორის აგვისტოს ომის მონაწილის არჩევა.

„საზოგადოებაში ბოიკოტის თემა მეტ-ნაკლებად წარმოადგენდა განხილვის საგანს, თუმცა დვანსა და დიცში განახლებულმა სადერმაკაციო პროცესმა და მეჩირაღდნის თემამ იქამდე არნახული აქტუალურობა შესძინა ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხს“, — გვპასუხობს ლაშა სენაშვილი. ლაშა ფიქრობს, რომ აგვისტოს ომის მონაწილე მეჩირაღდნის შერჩევით რუსეთმა საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინა. სალომე ჩარკვიანი ამბობს, რომ წამყვანი ოპოზიციური ძალა ისედაც შეეცდებოდა, წინ წამოეწია ოლიმპიადის თემა: „თუმცა, რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას და შედარებით ნეიტრალური ადამიანების ამ აგრესიულობაში ჩართვას ხელი შეუწყო რუსეთის ნაბიჯებმა მცოცავი ოკუპაციისა და მეჩირაღდნის სახით“. თამარ კურატიშვილის თქმით, სოჭის ოლიმპიადაზე საუბარი დვანში გავლებული მართულხლართებით არ დაწყებულა: „მონაწილეობა-არმონაწილეობაზე მანამდეც საუბრობდნენ, მაგრამ არა ასეთი ტონით. საზოგადოებაში ეს სურვილი არ გაჩენილა ბუნებრივად, ეს არის პროვოცირებული თემა იმ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფისგან, რომელთაც თავიანთი ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ“. შოთა ფალავანდიშვილი მიიჩნევს, რომ იქამდე, სანამ ქართული ტერიტორიები ოკუპირებულია, საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომაც, მისთვის ყველანაირი სხვა წინაპირობა მეორეხარისხოვანია: „არავითარი აზრი არ აქვს, ვინ იქნება ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე. ის, რომ საქართველო ამ ოლიმპიადაზე არ უნდა წავიდეს, მანამდეც ცხადი იყო ჩემთვის. მტერს არც კონცერტი უნდა გაუმართო, არც მის სუფრასთან უნდა დაჯდე და არც თავი უნდა დაუხარო მუდმივად.” გიორგი ხატიაშვილს მიაჩნია, რომ სპორტის ზამთრის სახეობებში არცთუ შესაშური მიღწევები გვაქვს, ამიტომაც, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა დიდი ტრაგედია არ არის. გიორგის აზრით, რომ არა დვანსა და დიცში მიმდინარე მოვლენები და აგვისტოს ომის მონაწილე ოლიმპიური მეჩირაღდნე, ქართული ხელისუფლებისთვის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება ასეთი რთული საკითხი არ იქნებოდა: „ქორი ანტირუსები მიეალმებიან ჩვენს გადაწყვეტილებას, უფრო რბილი ხალხი მიიჩნევს რომ ჩვენი რეაქცია გადაჭარბებულია. ხელისუფლება ცეცხლსა და მახვილს შორისაა – ერთი მხრივ, ქართული საზოგადოების სურვილი — მიიღოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, მეორე მხრივ, მთავრობის პოლიტიკა რუსეთისადმი”.

რა საიდუმლოს მალავს საერთო საცხოვრებლის კედლები?

ლალი შენგელია

ლანა ოსიშვილი

— „გადასასახადი მცირეა და უნდა დავკმაყოფილდეთ არსებული პირობებით, ყველაფერზე ხომ არ ვილაპარაკებთ.“
— „შენ არ ამბობდი, გუშინ თავი ცივი წყლით დავიბანეო? ახლა ხმას რატომ არ იღებ?“
— „არა, მე არსებული პირობები სრულიად მაკმაყოფილებს.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები სტუდ-ქალაქში არსებულ პრობლემებზე საუბრობენ, მაგრამ საჯაროობას უფრთხიან. სტუდენტები ჩვეული სიფრთხილით, ღიმილიანი სახით აცხადებენ, რომ იქ თავს ძალიან კარგად გრძნობენ და პრობლემები მათთან უიშვიათესია, მაშინ როცა თვითონ საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაციის წევრებიც კი ცდილობენ რეალობა დაგანახონ, პრობლემებზე დაუფარავად ისაუბრონ და აღიარონ, რომ ძალა არ შესწევთ, თორემ ყველა ჩამონგრეულ კედელს, მოძველებულ ტექნიკას, გაუქმებულ საერთო სამზარეულოებსა თუ ბაღებს დაუფიქრებლად აღადგენდნენ.

„ბაგების სტუდ-ქალაქის ტერიტორიაზე, სამი ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის პირველი ეტაპი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, 1975 წელს დასრულდა. 1984-1985 წლებში მათ დაემატა ორი თოთხმეტსართულიანი შენობა. სტუდენტების სამსახურში ახლა მხოლოდ ორი კორპუსი — I და II კორპუსებიღაა დარჩენილი, III, IV და V კორპუსი იძულებით გადაადგილებულ პირებს დავუთმეთ“ – ამბობს სტუდ-ქალაქის ადმინისტრაციის უფროსი ზაზა წაქაძე.

წლების განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ საერთო საცხოვრებელში ახლა დევნილები ცხოვრობენ. ჩვენთან საუბრისას ამ ფაქტზე დაცვის ერთერთი წევრი საუბრობს და აცხადებს, რომ შენობების დათმობა არც თუ ისე იოლი ფორმებით ხდებოდა და მის შენარჩუნებას თავად დაცვის თანამშრომლები ცდილობდნენ, არ ნებდებოდნენ, სანამ თავად სახელმწიფო უწყებიდან კორპუსების დაცლის თაობაზე არ მიიღეს წერილი.

საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაციის უფროსის თქმით, წლის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, სტუდ-ქალაქში ოთახის გამოყოფის მოთხოვნით, დაახლოებით, 100 განცხადება მაინც შედის, მაგრამ ფართის სიმცირის გამო ყველა მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება. ამჟამად უნივერსიტეტის ბაზაზე დარჩენილ ორ საცხოვრებელ კორპუსში 280-მდე სტუდენტი და უნივერსიტეტის თანამშრომელთა 47 ოჯახი ცხოვრობს. ხუთივე კორპუსი კი, დაახლოებით, 2000 სტუდენტს დაიტევდა.

ადმინისტრაციის თანამშრომელმა სტუდ-ქალაქში მცირე ექსკურსია მოგვიწყო და ბოქლომით დალუქული ოთახებიც კი დაგვათვალიერებინა. გზად სტუდ-ქალაქის შესახებ მცირე ისტორიები მოვისმინეთ და წარმოსახვით ბაღშიც გავისეირნეთ, რომელსაც ადრე მშვენიერი დეკორატიული ხეები, სკამები და მაგიდები ამშვენებდა. ვნახეთ სასადილო, რომელიც

მე-9 გვერდზე

1 წელი სტუდენტური აქციებიდან

ზუსტად 1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ქუჩები ხალხმრავალმა სტუდენტურმა აქციებმა მოიცვა. 2012 წლის სექტემბერში ათასობით სტუდენტმა სალექციო აუდიტორიები მიატოვა და ნაციონალური ძალადობის წინააღმდეგ ერთხმად აიმაღლა ხმა. კარგად მახსოვს, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, განსხვავებული პროფესიისა და ასაკის უამრავი სტუდენტი, ყოველდღიურად დღის 12 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში იკრიბებოდა და შემდეგ ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით კოლონებად მიემართებოდნენ. წლების განმავლობაში პოლიტიკურმა მდგომარეობამ თუ საზოგადოების ვნებათაღელვამ თბილისი აქციების ქალაქად აქცია. თუმცა ბოლო 20 წლის განმავლობაში არავის ახსოვდა ერთდროულად ამდენი ახალგაზრდა საკუთარი და სხვისი უფლებების დასაცავად, სამართლიანობის მოთხოვნით ქუჩაში გამოსულიყო. მრავალ აქცია გამოვლილი პოლიტიკოსები დიდი სინანულით იხსენებდნენ იმ დროს, როცა პარლამენტის წინ სააქციოდ აღმართული ბარიკადებიდან ათიათასობით შეკრებილ ადამიანში თითოოროლა ახალგაზრდას თუ დაინახავდნენ ხოლმე. ბევრი საუბრობს, რომ სექტემბრის სტუდენტურმა აქციებმა მთლიანად შეცვალა უახლოესი პოლიტიკური მომავალი. ძნელი სათქმელია, რამდენად ადეკვატურია ამგვარი შეფასება, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ამ აქციების მასშტაბები და შედეგები საშუალებას გვაძლევს — საკმაოდ ვრცლად ვიმსჯელოთ ამ აქციების როლზე ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, ჩემი სუბიექტური აზრით, ამ აქციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იმ შიშის დაძლევაში, რომელიც წლების განმავლობაში საზოგადოებაში იყო დაგროვილი და აგერ უკვე წლები იყო გასული, ვერაფერს უხერხებდა ქართული ოპოზიციური პოლიტიკური ელიტა.

სტუდენტური გამოსვლების მთავარი ლოზუნგი სისტემის დანგრევა იყო. ეს არ გულისხმობდა მხოლოდ „ციხის კადრებზე“ აღბეჭდილი ჯალათებისა და მათი დამკვეთების დასჯას. ვფიქრობ, მაშინ ათასობით ახალგაზრდის მოთხოვნის მთავარი ადრესატი მომავალი ხელისუფლება იყო, რომელსაც უნდა დაენგრია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი ტოტალიტარული სისტემა და სახელმწიფოს მართვის ძალადობრივი მეთოდისთვის ბოლო მოეღო. არჩევნებიდან თითქმის 11 თვის შემდეგ, სისტემის ნგრევასთან დაკავშირებით, ბევრი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა წინ. რეფორმები განხორციელდა პოლიციაში, ზეწოლისგან გათავისუფლდა მედია და საზოგადოებამ დიდი ხნის შემდეგ იგრძნო აზრის გამოხატვის თავისუფლების დაშვება. თუმცა კოაბიტაციის პროცესის გამო ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია ბევრი კითხვა. მოქალაქეები ელოდებიან უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, პოლიტიკური ნიშნით „მდევნელთა“ დასჯასა და ყოფილი ხელისუფლების მმართველობისდროინდელი დამნაშავე საჯარო მოხელეების სისტემიდან ჩამოშორებას. ეს ყველაფერი სოციალური სამართლიანობის დამყარებას მოითხოვს. ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა გახდეს ხელისუფლების მთავარი ამოცანა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

გიორგი გენაშვილი
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

აფხაზეთი 2013 წელს, ანუ 90-იანი წლები ახლა!

ფოტო: ლადო ფოჩხუა

ორშაბათი, მცხეთობა, დასვენება, თბილისი, შემოდგომა, მზე, რუსთაველის გამზირი, ეროვნული (ცისფერი) გალერეა, გამოფენა, ფოტოები, ადამიანები... და ლადო ფოჩხუა. ეს არტისტერიუმია, დახურვა, ბოლო გამოფენა. საღამო, 6 საათი, შევდივარ, კედლები თეთრია, ფოტოები შავ-თეთრი, აწყობილი, როგორც ე.წ. ფაზლი ან ფოტოშოპის „დაქროფვის“ ფუნქცია ისეა აწყობილი. ერთმანეთზეა მიდებული ფურცლები და ისე ქმნის ერთ მთლიანობას, ფოტო ასე ეწყობა.

ბევრი ადამიანია, ზოგი ნაცნობია, ზოგი ცნობილია და ზოგიც უბრალოდ ღვინის მოსაწრუპად მოსული. ყველა ჭრელია. ფოტოებზე ბავშვები, თოვლი, სიცარიელე, ცხოველები, მუქპალტოიანი ადამიანები, ტოტები და აფხაზეთია. ეს ლადო ფოჩხუას „ქართული მელანქოლიის ანატომიის“ გამოფენაა, მელანქოლია ფოტოებშია. ფოტოები დიდია, ბევრია და ემოციური, 90 წლები აქაა, თეთრ კედლებშია, შავ-თეთრ ფოტოებშია, ლადო ფოჩხუაშია.

ფოტოები დავათვალიერე, ოთახები დავიარე, კედლები არ გამომრჩენია, ფოტოები კარგია, მომეწონა, ხალხი „პაკაზუხაა“, არ მომეწონა, მაგრამ.... შესასვლელთან ახალგაზრდა მამაკაცი დგას, საშუალოზე უფრო მაღალი, „ზამშის“ ფეხსაცმელებით, დიდი შარვლით, მუქი ფერის ქურთუკით, მხარზე გადაკიდებული სპორტული ჩანთით, მოკლე თმით, ვიღაცას ელაპარაკება, ის ვიღაცა „პაკაზუხაა“, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, გვერდიდან ხმა მესმის, „აი ესაა, კაი ტიპია, მაგარი სიმპათიურია“, მორიგი „პაკაზუხის“ კომენტარი... აი, ვინ გამომრჩა, ლადო ფოჩხუა, თავისთვის დგას შემოსასვლელთან და ვიღაცას ელაპარაკება, საინტერესო ადამიანია, თითქოს უჩინარი, მაგრამ ამავდროულად ყველაზე გამოჩენილი. დიახ, ეს ის ლტოლვილი, 90-იან წლებგამოვლილი, ჩვენამდე ფოტოები რომ მოიტანა, ის ლადო ფოჩხუაა.

„ამ პროექტის არსებობას დიდწილად ვუმადლი ჩემს მეხსიერებას და ვითარებებს, რომელთა შეცვლაც მე არ შემეძლო. ოცდასამი წლისამ ყველაფერი დავკარგე - ოჯახი, მეგობრები, მშობლიური ქალაქი, სახლი, საბუთები. უკვე თბილისში შევიტყვე, რომ ახალ, მოუწყობელ და მშიერ ცხოვრებაში ლტოლვილი ვარ. აფხაზეთიდან ლტოლვილი. ანუ - არავინ. ნული. ადამიანი სოციალური ფუნქციის გარეშე. როცა პირველი ჰუმანიტარული დახმარება მივიღე, ამერიკული სამხედრო ულუფა, ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული ლობიო და ხორცი, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ თავს დავაღწევ გასაჭირს, რომელშიც აღმოვჩნდი. ამისთვის წლები დამჭირდა. ამ გამოფენაზე გამოტანილი ფოტოსურათები ჩემი გზის ეტაპებია, რომელიც ლტოლვილის ცხოვრებიდან ადამიანურ ცხოვრებამდე გავიარე“ — ავტორის ეს სიტყვები საგამოფენო დარბაზის პირველივე კედელზე წერია, ფოტოებს შორის რომ ადგილია, სადაც სითეთრეა, აი იქ.

და მაინც, სადღაც მცხეთობაა, ცხვარს კლავენ, ზეიმია, მხიარულებაა, დღესასწაულია, სვეტიცხოველი სავსეა, სანთლები ინვის, „ჯიპები” პრიალებს, რესტორნები სავსეა, დასალევი ულევია, სუფრა ორსართულიანი, ქეიფი ქეიფია, შუაღამემდე არ მთავრდება. სადღაც თბილისია, აქ სიცარიელეა, ეროვნული გალერეა კი სავსე. ორშაბათი მთავრდება, ამინდი მუქდება, საღამოა. გამოფენა მთავრდება, ნაცნობ-უცნობი ადამიანები მიდიან, სიჭრელე ქრება, ღვინო მოწრუპულია, კედლები ისევ თეთრია, ფოტოები შავ-თეთრი, ლადო ფოჩხუა ისევ შესასვლელში დგას, მაგრამ ვიღაცას აღარ ელაპარაკება...

არტისტერიუმი დამთავრდა, დღეც დამთავრდა, მეც დავიღალე, წამოვედი, გაჩერებაზე შევყოვნდი, ტაბლოს აწერია, რომ ავტობუსი 8 წუთში მოვა, ვუცდი. ადამიანებს არც ლადო ფოჩხუა, არც აფხაზეთი, არც მცხეთობა, არც ორშაბათი, არც საღამო, არც 10 ან 11 წუთში გასული 8 წუთი და არც არაფერი არ აინტერესებთ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ — სახლში მისვლა!

თბილისში ჩამოვედი. უკვე სიბნელეა, გრძელი ნაბიჯებით მივდივარ, ფოტოები მიტრიალებს, ლადო ფოჩხუაც მიტრიალებს, არტისტერიუმიც მიტრიალებს და თეთრი კედლებიც, 90 წლები მახსენდება. არ ვიცი, არ მინახავს, მაგრამ მახსენდება! ეს ლადო ფოჩხუაა, აფხაზეთი 2013 წელს, ანუ 90-იანი წლები ახლა!

სალომე გელქანია
სტუდენტი

რა საიდუმლოს მალავს საერთო საცხოვრებლის კედლები?

მერვე გვერდიდან

ახლა უსარგებლო, დამტვრეული სკამებით, მაგიდებითა და ფიცრებით ისეა გამოტენილი, რომ „თაგვი კუდს ვერ მოიქნევს“. არსებული სიტუაციის აღსაბეჭდად ფოტოს გადაღება მხოლოდ გასაწმენდი მინის ანარეკლიდან შევძელით.

სიძველე ორივე კორპუსს ეტყობა, ეს გასაკვირი არცაა. წლებია, მათ რესტავრაცია არ ჩატარებიათ. I კორპუსის წინა ფასადის დანახვისას შიშის გრძნობა გიპყრობს, ავარიული შენობა თავზე ერთბაშად არ ჩამოგექცეს. თუმცა, გახსენდება სიტყვები: „სეისმურად ორივე კორპუსი მდგრადია“. აბაზანა საერთო საცხოვრებლის II კორპუსის მაცხოვრებლებისთვის საერთოა, I კორპუსში კი აქა-იქ ინდივიდუალური საპირფარეშოებიცაა შემორჩენილი. საინტერესო სანახავია ახლად გარემონტებული და უკვე დალეწილი საპირფარეშოები, დგუშის გარეშე დარჩენილი აბაზანები. ჩვენი მასპინძელი ღიმილნარევი სახით მოგვიყვა, რომ მსგავსი შემთხვევები მათთან საკმაოდ ხშირია. თავდაპირველად, როცა სხვა ვერაფერი მოახერხა, გადაწყვიტა — დგუში ისე დაემონტაჟებინა, როგორც ციხეებშია: კედლებში მყარად ჩასვა, თუმცა ისიც მოგლეჯილი დახვდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მოგლეჯილი და დამტვრეული დგუშები გოგონების აბაზანებს უფრო აქვს, ვიდრე ვაჟებისას.

ჩვენი მასპინძელი საერთო საცხოვრებელში მხოლოდ მატერიალურ საკითხებს აგვარებს, მაგრამ ყველა კითხვაზე აქვს პასუხი:

— ***სახიფათოა უნივერსიტეტის სტუდ-ქალაქში ცხოვრება?***

— არა, სახიფათო წლების წინ იყო, როცა ყველა თავის ნებაზე დადიოდა, სინათლე არ იყო და სართულზე 2-3 ადამიანი თუ ცხოვრობდა. ახლა აქ იდეალური სიტუაციაა, მშობელს არ უნდა შეეშინდეს შვილის აქ გამოშვება. საერთო საცხოვრებელში ცხოვრება იაფია.

პრობლემებზე სტუდენტები ვერა, მაგრამ დაცვის თანამშრომლები თამამად საუბრობენ. „ჩვენ ყურადღებას არ ვაკლებთ ჩვენს პერიმეტრებს, მაქსიმალურად ვცდილობთ სტუდენტები დაცულად გრძნობდნენ თავს, კორპუსში თითო კაცი ვართ, მაგრამ გვპირდებიან, რომ დაამატებენ დაცვის თანამშრომლებს და შრომას შეგვიმსუბუქებენ. კარგი იქნებოდა, რამდენიმე თანამშრომელი დაემატებინათ“, — ამბობს სტუდ-ქალაქის დაცვის თანამშრომელი ავთანდილ მოწონელიძე.

„6 წელია უკვე აქ ვმუშაობ, საკმაოდ ბევრი პრობლემის მომსწრე ვარ. აღვნიშნავ, რომ პრობლემები დროდადრო გვარდება. ახლა სახანძრო უსაფრთხოება გვანუხებს. კორპუსებში არაა ცენტრალური გათბობა და ბუნებრივი გაზი, ამიტომ დამოკიდებულები ვართ დენზე. ჯერ კიდევ არა სიცივეები, ზამთარში, როცა ყველა ოთახში გამათბობელი ჩაირთვება, ახლად შეცვლილი, უხარისხო ელექტროობა ვერ გაუძლებს და აფეთქდება. აუცილებელია, რომ ისევ გამოცხადდეს ტენდერი და დამონტაჟდეს ახალი ელექტრო გაყვანილობა“, — აღნიშნავს დაცვის ერთერთი თანამშრომელი იური ბადალაშვილი.

სტუდ-ქალაქში ცხოვრება სტუდენტებისთვის 30 ლარი, ხოლო თანამშრომლებისთვის 50 ლარი ღირს. საფასურში შედის კომუნალური გადასახადები ინტერნეტის საფასურის გარდა, რომელიც ყველამ ინდივიდუალურად უნდა შეიყვანოს.

P.S. საინტერესო ინფორმაცია, რომელიც საერთო საცხოვრებელში მოსახვედრად დაგეხმარებათ: განცხადების დაწერა და მხოლოდ სურვილის ქონა არაა მთავარი. „ვისაც აქ მოხვედრა უნდა, იმდენჯერ დაგირეკავს, იმდენჯერ მოვა და გეტყვის, რომ ბინა არა აქვს, რომ ადამიანობა გაჭრის და გათავისუფლებულ ოთახს დაუთმობ“, — გვითხრა სტუდ-ქალაქის ადმინისტრაციის უფროსმა. ჩვენ კი არ ვკარგავთ იმედს, რომ მომავალი თაობა მაინც შეძლებს უნივერსიტეტის საცხოვრებელში ნორმალურ პირობებში ცხოვრებას. იმედი გვაქვს, რომ წარმოსახვით სიარული არ მოგვიწევს სტუდ-ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე. იმედი გვაქვს! იმედი გვაქვს!



სტუდენტური ჩანართის „სტუდ-ეტიკ“-ის რედაქტორია
სალომე გორგოძე

ჩანართ „სტუდ-ეტიკ“-ში გამთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს გაზეთის რედაქციის პოზიციას

მოხდება თუ არა საქართველოში „ბიო-ორგანული მწვანე რევოლუცია“?

თამარ დადიანი

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემატიკა პოლიტიკური თუ ეკონომიკური დისკუსიების ერთერთი მთავარი თემაა. სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს 11-12 ოქტომბერს თსუ-ში გამართულ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე — „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. ღონისძიება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ორგანიზებითა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტის მხარდაჭერით გაიმართა.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები იტალიიდან, შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან; ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები და ფერმერები.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 141 მოხსენება, რომლებიც თემების მიხედვით 16 სექციად დაიყო. ყველა სექციამ წარმატებით იმუშავა. შემუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საინტერესო რეკომენდაციები.

პლენარული სხდომა გახსნა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თსუ-ის მიკროეკონომიკის კათედრის პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა. სტუმრებს მიესალმა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე. კონფერენცია დალოცა და თემის მნიშვნელობაზე ისაუბრა სიონის აკაურთას დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა.

პლენარული სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ და საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს: ლუკა ჩეზარომ (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ეროვნული ინსტიტუტი, რომი, იტალია); გიორგი წაქაძემ (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი); ანატოლ შევჩუკმა (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი) და პაატა კოღუაშვილმა (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია).

„ნებისმიერი ქვეყნისთვის აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება სტრატეგიული მნიშვნელობისაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ზაფხულში ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმად 2050 წლისთვის მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდასთან შეუსაბამო აღმოჩნდება აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდება. ამიტომ ექსპერტები მსოფლიოს ლიდერებს აგროსასურსათო სფეროში გაბედული, ახალი სტრატეგიების შემუშავებისაკენ მოუწოდებენ. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი ბიოეკონომიკამ, როგორც მრავალდარგობრივმა სექტორმა, უნდა შეასრულოს. აღნიშნულს ემყარება მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კონცეფციაც, რომლის შემუშავება მკვლევარი მეცნიერებისა და აგროსასურსათო ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისათვის ერთერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად გადაიქცა“, — აღნიშნა პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა.

ევროკავშირის ქვეყნების აგრარული პოლიტიკის შესახებ საინტერესოდ ისაუბრა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტის (რომი, იტალია) პროფესორმა ლუკა ჩეზარომ, რომელმაც ხაზი გაუსვა ამ სექტორში განვითარების სწორი პოლიტიკის დანერგვის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობილი სტრატეგიის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

დღეს კაცობრიობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჯანსაღი კვება არის გარანტია სიცოცხლისა და გამრავლების, ასევე, სულიერი მდგომარეობისა — ამის თქმის საფუძველს კი არაერთი სამეცნიერო და სამედიცინო კვლევა იძლევა. მოხდება თუ არა საქართველოში „ბიო-ორგანული მწვანე რევოლუცია“ და რა შანსები აქვს „ეკოლოგიური ეკონომიკის“ დანერგვას ქვეყანაში? — ამ კითხვებს საინტერესო პასუხები გასცა თავის მოხსენებაში პროფესორმა პაატა კოღუაშვილმა. სოფლის მეურნეობის განვითარება ხშირად ფართო ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების ფუნდამენტად განიხილება, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. შიმშილის პრობლემასა და ახალ მწვანე რევოლუციაზე საინტერესო მოხსენება წარმოადგინა პროფესორმა რევაზ გახოკიძემ, რომელმაც აგრო-ბიო-ორგანული ტექნოლოგიის გამოყენებით სასურსათო პრობლემის გადაჭრის ახალი გზა შემოგვთავაზა.

დღეს ბევრს საუბრობენ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების ამოქმედების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზეც, რომელმაც სოფლის მეურნეობის დარგში ეფექტიანობის ამაღლებას უნდა ჩაუყაროს საფუძველი. ამ თემას ეხებოდა პროფესორების მარინა ჩავლეიშვილისა და სლავა ფეტელავას მოხსენება „საინვესტიციო პროექტები საქართველოს აგრარულ სექტორში“.

მომხსენებლები დადებით მოვლენად აფასებენ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების ამოქმედებას და მიიჩნევენ, რომ სრულყოფილი ანალიზი მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი.

საინტერესო და საყურადღებო იყო სექციებში წარმოდგენილი მეცნიერების: რევაზ გველესიანის, გულნაზ ერქომაიშვილის, რამაზ აბესაძის, ეკატერინე ზვიადაძის ნაშრომებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და განსაზღვრულ პრიორიტეტებს ეხებოდა.

12 ოქტომბერს კონფერენციამ ქალაქგარეთ გადაინაცვლა. მოეწყო პრეზენტაციები „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულ ცენტრსა“ (საგურამო) და კომპანია „შატო მუხრანში.“ კონფერენციის მონაწილეებს და უცხოელ სტუმრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ აგრო-ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულ ცენტრში გამოყენებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს. ცენტრის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია პროფესორ ნინო ფარესაშვილის ხელმძღვანელობით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა კახა დაუშვილმა, ავთანდილ აბაშიშვილმა, სალომე გაფრინდაშვილმა და გვანცა ხანიაშვილმა წარმოადგინეს. „დღეს ვცხოვრობთ ცოდნის ეპოქაში. ეს ცოდნა დამყარებულია ორ რესურსზე: ერთი საკუთრივ ცოდნაზე, მეორე ტექნოლოგიებზე. ცოდნის რესურსული პოტენციალი სოფლის მეურნეობაში არსებობს, მაგრამ პრობლემაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. სწორედ ცოდნისა და ტექნოლოგიების შერწყმა გამოიწვევს დარგის სამომავლო განვითარებას და სტრატეგიების შემუშავებას, რის შესახებაც ამომწურავად ისაუბრეს ჩვენმა სტუდენტებმა,” — აღნიშნა ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრის პრეზენტაციისას ღონისძიების ერთერთმა ხელმძღვანელმა ეთერ ხარაიშვილმა.

როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ლევან უჯმაჯურიძემ განაცხადა, ცენტრის მიზანი იყო ქართული, აბორიგენული ვაზისა და ხეხილოვანი კულტურის სხვადასხვა ჯიშების გადარჩენა და გამრავლება რეგიონის მასშტაბით. „გასული საუკუნის ბოლოს მოიშალა სანერგე მეურნეობები და ის ტექნოლოგიები, რომელიც მეცნიერულ საწყისებზე იყო დაფუძნებული. აღარ ხდებოდა მათი გამოყენება რეგიონებში. ამის გათვალისწინებით დავიწყეთ ქართული ვაზისა და ხეხილოვანი კულტურის ჯიშების მოძიება საქართველოს მასშტაბით. გავაშენეთ საკოლექციო ნაკვეთები, სადაც თავმოყრილია 437 ქართული აბორიგენული ჯიშის ვაზი საქართველოს ყველა ენდემური კუთხიდან. გარდა ამისა, აქვე წარმოდგენილია 300-ზე მეტი ჯიშის სახეობა მსოფლიოს მევენახეობის და მეღვინეობის წამყვანი ქვეყნებიდან. ცენტრის მიზანია საქართველოს სხვადასხვა რაიონში სანერგე მეურნეობების აღორძინების ხელშეწყობა. ჩვენი დახმარებით, ვაზისა და ხეხილის მრავალი მცირე სანერგე მეურნეობებია უკვე აჭარის, გურიის, კახეთის, იმერეთის, ქართლის რაიონებში. ცენტრს ასევე გააჩნია სამეცნიერო ფუნქციაც — მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული უმაღლეს სასწავლებლებთან და სტუდენტებს საშუალება აქვთ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შეიძინონ”, — აღნიშნა ლევან უჯმაჯურიძემ. ქართული ყურძნის და ხილის ჯიშებმა აღფრთოვანებაში მოიყვანა კონფერენციის ქართველი და უცხოელი მონაწილენი.

მე-16 გვერდზე

ანონსი

რაზე ამახვილებს ყურადღებას ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ ახალი ნომერი?

თამარ დადიანი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამომავალი ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესის“ მე-5 ნომერი ოქტომბრის ბოლოს გამოვა, რომელშიც განხილული იქნება ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის, მიკრო-მაკროეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ტურიზმის საკითხები, ასევე, ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტატიები. ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის სექციაში გაეცნობით იაკობ მესხიას ნაშრომს „პოლიტიკური არამდგრადობა და ეკონომიკური ტურბულენტობა საქართველოში” (ინგლისურ ენაზე). ასევე საინტერესოა მამია ჭუმბურიძის სტატია „სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის ტენდენციების შესახებ“, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის თვითრეგულირებისა და რეგულირების, სახელმწიფოს და ეკონომიკის ურთიერთობის, ბაზრის ფიასკოსა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხებს ეხება. ეკატერინე უდესიანის სტატიაში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესახებ“ გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს ახალი მთავრობის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებები. გამახვილებულია ყურადღება უახლოეს პერიოდში ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ამოცანებზე. „ფირმის ფასეულობათა ჯაჭვის მართვა“ — ასე ჰქვია მანანა ხარხელის სტატიას, რომელიც დაწერილია ქართული სამშენებლო კომპანია „სასკო“-ს მაგალითზე. აქ დაყენებულია საკითხი კომპანიების ტრადიციული მენეჯმენტიდან ფასეულობათა ჯაჭვის მენეჯმენტზე გადასვლის შესახებ. აგრეთვე დასახელებულია ის ბარიერებიც, რომელიც მის განხორციელებას უშლის ხელს. აქვე გაეცნობით იაკობ მესხიას საინტერესო სტატიას პოლიტიკურ არამდგრადობასა და ეკონომიკურ ტურბულენტობაზე საქართველოში, სადაც საუბარია იმ ფაქტორებზე, რომელმაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე.

სამ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულზე – ქურდობაზე, თაღლითობასა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვაზეა გამახვილებულია ყურადღება ე. გლოველის სტატიაში: „სისხლის სამართლის დანაშაულთა სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი (საქართველოს მაგალითზე)“. სტატიაში გაანალიზებულია ყველაზე გავრცელებული 20 დანაშაული, რომლებიც შესწავლილია რეგიონული ჭრილით და გაკეთებულია ადეკვატური დასკვნები.

ჟურნალის ახალ ნომერში წაიკითხავთ აგრეთვე შოთა შაბურიშვილის საინტერესო სტატიას ოფშორის ფენომენზე თანამედროვე ბიზნესში; ნუგზარ პაიჭაძის სტატიას შრომის ეფექტიანობის მართვის სრულყოფის საკითხებზე; მირიან ტუღუშის კვლევას „კულტურის სფეროს ფინანსური უზრუნველყოფის რეგულირებისათვის“; ლევან ნატრიშვილის სტატიას „საგარეო დახმარება: არსი, სტრუქტურა, მიზნები“; ინეზა გაგნიძის ნაშრომს „მაკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა — თანამედროვე მდგომარეობა“ და სიმონ გელაშვილის მოგონებას ბიკენტი გაბიძაშვილზე.

საყურადღებო აქცენტი

არის თუ არა დღესაც მისაბაძი უნივერსიტეტი ქცევის აკადემიური სტანდარტით და ურთიერთობების მაღალი კულტურით?

ერთმა სამყაროს შექმნას ექვსი დღე მოანდომა, ადამიანს კი რამდენიმე ათეული წელი აქვს საიმისოდ, რომ საკუთარი სამყარო შექმნას. დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ სწორედ ადამიანია საკუთარი ცხოვრებისა და სინამდვილის შემოქმედი. ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ ძლიერი ბუნების პიროვნებებს ძალუძთ თანამედროვე სამყაროს ქაოსი წესრიგად აქციონ და ცხოვრებისეული სირთულეებიც საკუთარ ნებას დაუმორჩილონ. ძლიერი და საკუთარი ადამიანური მოვალეობის რწმენით განმსჭვალული პიროვნება ყველა დროში იშვიათობა იყო და, ამ მხრივ, არც ჩვენი დროებაა გამონაკლისი, თუმცა, თუკი უნივერსიტეტის ეზოში განსვენებულთა საფლავებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მცირეთა მაგალითები ათასებისთვის შეიძლება იქცეს დიდ და კეთილ საქმედ.

ამბობენ, რომ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ეზოს ჭიშკარში შესვლისას კრძალვით იხდიდა ქუდს. სწორედ უნივერსიტეტის დამფუძნებელი მამების დამოკიდებულებამ და ღვაწლმა აქცია ეს შენობა ქართული ეროვნული იდენტობის ღერძად და ადგილად, რომელსაც ცოდნის ტაძარსაც უწოდებდნენ იმ საუკუნეში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა, თუმცა არსებობდა შეგნება, რომ მიუხედავად ისტორიის ურთულესი გამოწვევისა, საქართველოშიც შეიძლებოდა შექმნილიყო თანამედროვე სამყაროს შესაფერი ცოდნა, მეცნიერება და მაღალი ხარისხის განსწავლულობა, რომლის გარეშეც დღეს არც სახელმწიფოებრიობა არსებობს და არც ეროვნულობა. ამიტომ, თუკი სახელმწიფოებრიობის სიმბოლოებზეა საუბარი, ასეთ ცოცხალ სიმბოლოდ ჩვენში სწორედ უნივერსიტეტი და მისი ეზო მოიაზრება და ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვინც ამაში არ დაგეთანხმება, ვისაც არ აქვს მოლოდინი, რომ ურთულესი გამოწვევების დროს უნივერსიტეტი საკუთარ სათქმელს იტყვის და საკუთარ გასაკეთებელს გააკეთებს.

სირთულეთა შორის, რომელთა წინაშეც დამოუკიდებელი ქვეყანა აღმოჩნდა, ერთერთი ადამიანთა ღირსებაზე მიტანილი დარტყმა იყო: ბოლო წლებში ბევრს გაუჩნდა გრძნობა, რომ საკუთარ სამშობლოში ზედმეტი და გამოუსადეგარია, რომ ისინი „ჩარეცხეს" და მათთან ერთად „ჩარეცხეს" მათი უნიკალური შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ „ღირსების აყრის" ფორმებმა საქართველოში შემაძრწუნებელი სახე მიიღო, რასაც გასული წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სტუდენტობის მიერ დაწყებული საპროტესტო გამოსვლები და 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნები მოჰყვა. მას შემდეგ კიდევ ერთი არჩევნები შედგა უნივერსიტეტში, რომელსაც იმდენად ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენადაც მოსახლეობაში უნდა დაბრუნებულიყო სამეცნიერო საზოგადოების მიმართ შერყეული რწმენა. დღეს საუნივერსიტეტო საზოგადოება, კონკრეტულად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალი გამოწვევის წინაშეა – დააბრუნოს ღირსება, რომელიც ფულითა და ძალაუფლებით კი არა, ცოდნით, ღვაწლითა და შრომით მოიპოვება.

ათწლეულების განმავლობაში სწორედ უნივერსიტეტი აყალიბებდა ქცევის აკადემიურ სტანდარტს და ურთიერთობების მაღალ კულტურას. დღეს, როდესაც საზოგადოებაში ამ ყველაფრის საოცარი დეფიციტია, რამდენადაა შესაძლებელი უნივერსიტეტმა კვლავ აიღოს საკუთარ თავზე ამ მხრივ მისაბაძი ინსტიტუციის როლის შესრულება? – ამ კითხვით ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუას *მივმართეთ.*

ნანა ჩაჩუა

— ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ არის საზოგადოებისთვის ავტორიტეტი, რადგან ეს უკუგავლენას ახდენს ამ საზოგადოებაზე, მის ქცევასა და შეხედულებებზე. როდესაც შენ მოგეწერება როლი ინტელექტუალური ადამიანისა და ამის მიხედვით გიღებს საზოგადოება, მთელ შესაძლებლობებს აქეთკენ მიმართავ კიდეც. იგივე ხდება მაშინაც, როდესაც ზნეობრივ ადამიანად მიგიჩნევენ — აქ მთავარია რა როლი მოგეწერება, როგორ აღგიქვამენ, როგორია შენი სტატუსი!

როლური ფსიქოლოგია გვეუბნება, რომ საკუთარი თავის აღქმა იმ როლთანაა გაიგივებული, რომელსაც თვითონ ირჩევ და რომელსაც შემდეგ მოგაწერს საზოგადოება. უნივერსიტეტის სტატუსი ყოველთვის ძალიან მაღალი დონისა იყო და საზოგადოების მიერ განიცდებოდა — როგორც განსაკუთრებული და სამაგალითო. ასეთი საპასუხისმგებლო როლის გამო უნივერსიტეტის მასწავლებლობა, თანამშრომლობა, სტუდენტობა იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერს ვერ აკადრებდი საკუთარ თავს, ანუ ეს ადამიანები თავად ხდებოდნენ უნივერსიტეტის როლის ცოცხალი შემსრულებლები.

ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში გამუდმებულად და შეგნებულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტის გაუფასურება, რაც კარგად იგრძნობოდა გარედან და ამ გაუფასურებულ როლში შემოგვრჩა დღევანდელი უნივერსიტეტი. ჩვენ ვნახეთ, როგორ მოექცნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, რაც აუცილებლად ნეგატიურად იმოქმედებდა აქ დარჩენილ თანამშრომლებზე, მათ როლსა და საზოგადოებრივ სტატუსზე. ადამიანის ფსიქოლოგიაა ასეთი: ვენერა მილოსელის ქანდაკებას ტალახს თუ ესვრი, ამით ქანდაკებას არაფერი დააკლდება, მაგრამ გატალახიანდება. აი, ასეთია სამწუხაროდ დღევანდელი უნივერსიტეტი.

— არაერთხელ თქმულა, რომ განვლილ პერიოდში ავტორიტეტებისა და ავტორიტეტული ინსტიტუციების მისამართით ტალახის სროლის ტენდენცია არსებობდა. რატომ კეთდებოდა ეს, რა მიზნები ჰქონდათ? რატომ მიაყენა დარტყმა მოსვლისთანავე წინა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს?

— ქართული ეთნო-ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ჩვენში ყველაზე დაფასებული განსწავლულობაა და ადამიანი, პირველ ყოვლისა, ამ ნიშნით იყო ყოველთვის დაფასებული. განსწავლულობის ბირთვი, ცენტრი კი ყოველთვის უნივერსიტეტი იყო. საკუთარი თავის თვითგანცდა, ეროვნული იდენტობა და ღირსება იყო უნივერსიტეტთან დაკავშირებული, მით უმეტეს, იმ ათეისტურ ეპოქაში და ეს გატოლებული იყო რელიგიასთან, ამიტომაც უწოდებდნენ უნივერსიტეტს ცოდნის ტაძარს. გავიხსენოთ, როგორ გამოიკვეთა უნივერსიტეტის როლი ეროვნულ მოძრობაში, ან ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით 1978 წელს – როგორი გადამწყვეტი აღმოჩნდა უნივერსიტეტის პოზიცია სწორედ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ამიტომ ის, რაც უნივერსიტეტში გასული 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, ეს იყო ეროვნული თვითშეგნების შერყევის მცდელობა. ისიც კი მოახერხეს, რომ საქართველოში, სადაც ვიცით რასაც ნიშნავს ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის სახელი, უნივერსიტეტის რექტორად მეცნიერებაში არაკომპეტენტური ადამიანი მოიყვანეს.

— სადღაც უნდა იქმნებოდეს ქცევის მოდელი – ადრე არისტოკრატია აკეთებდა ამას, შემდეგ ეს საკუთარ თავზე მეცნიერებამ და სხვადასხვა ელიტებმა აიღეს. თქვენ როგორ ხედავთ, რა შეიძლება ამ მხრივ გააკეთოს უნივერსიტეტმა და რა როლით შეიძლება შეს-თავაზოს საკუთარი თავი საზოგადოებას, რომელიც დღეს ცოტა არ იყოს, დაბნეულია, მით უფრო, რომ თავად რექტორი რეაგირებს ცუდად მის ყურამდე მისულ დასმენებზე, ინტრიგებზე და უარყოფით განწყობებზე...

— პირველ რიგში, ლადო პაპავას და, ასევე, უნივერსიტეტსა და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ რექტორს, რადგან ახალი რექტორი არის აკადემიური ადამიანი თავისი პიროვნული ნიშან-თვისებებით და განსწავლულობით. ამდენად, ეს არჩევანი ღირსეული გაგრძელებაა იმ გზისა, რომლითაც უნივერსიტეტი მოდიოდა. უნივერსიტეტის მიმართ დღეს დიდი მოლოდინი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი კვლავ დაიბრუნებს ძველ ადგილს და ავტორიტეტს. როგორც თქვენ ბრძანეთ, რადგან რექტორი რეაგირებს დასმენებზე და უარყოფით განწყობებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინტრიგულ პოზიციებს ნახალისება აღარ ექნება უნივერსიტეტში და რომ ამგვარი მოქმედებებისთვის სტიმული აღარ იარსებებს. თანაც, როდესაც პირველი პირისგან მოდის უარყოფითის აკრძალვა, იქ დადებითი ემოციები და კეთილი თვითგამოვლინებანი მძლავრობს ხოლმე — სიკეთის ფილოსოფიას სწორედ ასეთ გარემოში ეყრება ხოლმე საფუძველი.

— რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?

— პირველ რიგში, პროფესორ-მასწავლებლობა უნივერსიტეტში ყოველთვის უნდა იყოს ღირსეული, ისეთი, როგორიც შეეფერება უნივერსიტეტს და, ამავე დროს, მათდამი დამოკიდებულებაც უნდა იყოს იმ სტატუსის შესაფერისი, რომელიც გააჩნიათ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. ეს განცდა თავისთავად გაჩნდება, თუკი უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური დამოკიდებულებები და ურთიერთობები ჩამოყალიბდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გელაპარაკებიან, როგორ გეპყრობიან და მოგმართავენ, რადგან, როდესაც გეუბნებიან, ვთქვათ, დაბრძანდი, — გინდა თუ არ გინდა, უკვე სხვა როლში გრძნობ თავს. თუმცა, ამ ტიპის ურთიერთობებს მხოლოდ აკადემიური სწავლება მოიტანს. გითხარით, რომ რელიგიის და ტაძრის ადგილი ეჭირა უნივერსიტეტს საქართველოში, ეს ყველაფერი კი ცოდნასა და ცოდნის მადლზე იყო აგებული და ამას ისევ ცოდნა დააბრუნებს: აკადემიური ცოდნა, აკადემიური ფორმა, აკადემიური სტილი, რომელშიც მემკვიდრეობითობა და ნოვატორობა იქნება შერწყმული.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემა იგეგმება

ანონსი

შურთხია გეროშვილი

გასულ წელს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს 90 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღს თსუ-ში არაერთი ღონისძიება მიეძღვნა. წელს კი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინიციატივით მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემა იგეგმება, სადაც თავს მოიყრის ამ ღონისძიებების ამსახველი მასალები: მოგონებები, მილოცვები, ფოტო-მასალა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის და აღნიშნული კრებულის რედაქტორის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის ინფორმაციით, კრებული ორი ნაწილისგან შედგება: პირველ განყოფილებაში მოცემული იქნება საიუბილეო ღონისძიებების ამსახველი მასალები: მათ შორის, მარიამ ჩხარტიშვილის ნარკვევი, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეტანილი ღვაწლის წარმოჩენას. ამავე განყოფილებაში გამოქვეყნდება საიუბილეო დღეების ამსახველი მოკლე საინფორმაციო წერილი და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი მილოცვები, ასევე, მარიამ ლორთქიფანიძის კოლეგების, მოწაფეებისა და მეგობრების: მზექალა შანიძის, რისმაგ გორდეზიანის, ოთარ ჟორდანიას, ქეთევან ნადირაძის და სხვათა მოგონებები და პირადი მილოცვის ტექსტები. მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება იუბილეს ფარგლებში გამართული საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის — „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები" მასალები, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მოხსენებათა სრული ტექსტები.

„ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი, რომელიც ასახავს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს და შეახსენებს საზოგადოებას მარიამ ლორთქიფანიძის დამსახურებას ამ სფეროში, საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტთა, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის", — აღნიშნა მარიამ ჩხარტიშვილმა.

კრებული გამოსაცემად უკვე მზად არის. წიგნის პრეზენტაცია წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

INFO ქრონიკა

ABET Foundation-ის ექსპერტების კვლევა და თემატური სემინარი თსუ-ში

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET Foundation) ექსპერტებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 18 ოქტომბერს გამართეს სემინარი თემაზე: „ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტები და მიღების პროცედურები“.

სემინარს უმასპინძლა თსუ-ის ვიცე-რექტორმა მარინე ჩიტაშვილმა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, თსუ-ის აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და განათლების ექსპერტები დაესწრნენ.

საქართველოში ABET Foundation-ის წარმომადგენლების ვიზიტის მიზანია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული და სამეცნიერო/ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლა და საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამების საერთაშორისო ABET-აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრა. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი — საქართველო“ აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საქართველოში ამერიკული პარტნიორი უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების პროგრამების შერჩევისთვის. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც მათი პროგრამული განვითარების სრულყოფისა და გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელების ჭრილში.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ჩვენ გვეძლევა ახალი სასწავლო პროგრამების განვითარების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ძლიერი ბაზის საფუძველზე. მეორეც, ჩვენ მოგვეცემა საქართველოში რეალური ხარისხის დანერგვის საშუალება, რადგან მივიღებთ ამერიკული პროფესიული საზოგადოების მიერ აკრედიტებულ პროგრამებს. ეს კი სასარგებლოა ყველასთვის — უნივერსიტეტისთვისაც და ქვეყნისთვისაც“, — აღნიშნა თსუ-ის ვიცე-რექტორმა მარინე ჩიტაშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ საინტერესოდ ისაუბრა შეხვედრის მნიშვნელობასა და მიზნებზე: „ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს ექსპერტები ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რათა ამ უნივერსიტეტში მათ შეისწავლონ და შეაფასონ საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამები, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგანაც ეს პირდაპირ აისახება სასწავლო პროგრამების ხარისხზე. არსებული სურათის შესწავლის შედეგად აუცილებლად განისაზღვრება დეტალური სტრატეგია, რათა სასწავლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს. მსგავსი აკრედიტაცია გავლილი აქვს 3 ათასამდე პროგრამას მსოფლიოში და 600-მდე უნივერსიტეტს, დაახლოებით, 24 ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ თუ ჩვენ შევძლებთ დავძლიოთ სიძნელეები, შესაბამისობაში მოვიყვანოთ ჩვენი პროგრამები, ჩვენი სტუდენტები უფრო მაღალკონკურენტიანნი იქნებიან საერთაშორისო შრომის ბაზარზე. საბოლოო ჯამში ეს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთერთი ფაქტორი გახდება“, — აღნიშნა მან.

„შეხვედრის მიზანი საბუნებისმეტყველო და ინჟინრული პროგრამების განვითარებისთვის თსუ-ის საჭიროებებისა და მოთხოვნების გაცნობა და შესაბამისი რეკომენდაციების და აკრედიტაციის მიცემაა. პროექტის მხარდაჭერისთვის განათლების სამინისტროს მადლობელი ვართ, რომელიც არ იშურებს ძალისხმევას საქართველოში განათლების დონის ასამაღლებლად“, — განაცხადა ABET Foundation-ის წარმომადგენელმა ალბერტ ჯო ტერნერმა.

როგორც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ უმაღლესი განათლების პროგრამის დირექტორმა ნოდარ სურგულაძემ აღნიშნა, ABET-ი (ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭო) წარმოადგენს აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აკრედიტაციას ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამებს გამოყენებით, კომპიუტერულ, საინჟინრო და საინჟინრო-ტექნოლოგიურ მეცნიერებებში.

ABET Foundation-ის ექსპერტები ახორციელებენ საქართველოს შემდეგი სახელმწიფო უნივერსიტეტების (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 10 საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამის შეფასებას და მათგან 5 პროგრამისთვის ABET აკრედიტაციის მოპოვებისთვის საჭირო დეტალური სტრატეგიის შემუშავებას.

ABET-ის ფონდის წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტის დროს ჩაატარებენ რამდენიმე თემატურ სემინარს. ასეთი შეხვედრა უკვე გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ABET Foundation-ის წარმომადგენელმა ალბერტ ჯო ტერნერმა საინტერესოდ ისაუბრა ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტების მნიშვნელობაზე, ასევე შემოგვთავაზა ის რეკომენდაციებიც, რომელიც დაგვეხმარება აკრედიტაციის მისაღებად.

TEMPUS-ის 19 პროექტიდან 11 პროექტი თსუ-ს დაუფინანსდა

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კვლავ ლიდერი უნივერსიტეტია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში,“ — განაცხადა TEMPUS-ის ეროვნული ოფისის კოორდინატორმა საქართველოში ლიკა ღლონტმა. მისი თქმით, მთელი ქვეყნის მასშტაბით TEMPUS-ის პროგრამით 19 პროექტი დაფინანსდა, რომელშიც 22 ქართული უნივერსიტეტია ჩართული. „19 პროექტიდან 11 პროექტი თსუ-ს დაუფინანსდა, სტუ-ს - 7 პროექტი, ილიაუნს - 6 პროექტი, ბათუმის საზღვაო აკადემიას - 2 პროექტი და სხვა. რაოდენობრივთან ერთად აღსანიშნავია ხარისხობრივი მაჩვენებელი: ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს მხოლოდ ორი წლის წინ მიეცათ საშუალება ყოფილიყვნენ პროექტის კოორდინატორები. თსუ უკვე სამი პროგრამის კოორდინატორია. ეს იმის დამადასტურებელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის არა მხოლოდ მიმღები, არამედ განმკარგავი უნივერსიტეტი პროექტის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის და ეს იმ დიდი ნდობის ნათელი მაგალითია, რომელსაც თსუ-ს მიმართ გამოხატავს ევროკავშირი“, — აღნიშნა ლიკა ღლონტმა.

TEMPUS-ის პროგრამა საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს, რომელიც უნივერსიტეტების მხარდაჭერასა და განვითარებას უზრუნველყოფს. TEMPUS-ის პროგრამაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან პირველი თსუ ჩაერთო. ამ ხნის განმავლობაში თსუ-ში 24 პროგრამა განხორციელდა.

ERASMUS MUNDUS-ის ახალი პროექტის HERMES-ის პრეზენტაცია

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის ახალი პროექტის HERMES-ის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების მსვლელობისას პროექტში ჩართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა მთელი წლის სამუშაო გეგმა განიხილეს.

პრეზენტაციაში მონაწილეობას იღებდნენ პროექტის კოორდინატორი ათენის უნივერსიტეტის, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოსა და 15 პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

„პროექტი მიზნად ისახავს პროფესორების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მობილობას ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებში საქართველოდან და პროექტის მონაწილე სხვა არაევროპული უნივერსიტეტებიდან, ასევე ბელარუსიდან, უკრაინიდან და მოლდოვიდან. პროექტი 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება. იქნება 2 სხვადასხვა კოჰორტი, კონკურსის შედეგად მოხდება აპლიკანტების გადარჩევა და გარკვეულ რაოდენობას მობილობის უფლება მიენიჭება. პროექტის განმავლობაში სულ 200-მდე ადამიანი მიიღებს დაფინანსებას. მობილობის პერიოდი 3 -დან 16 თვემდე გრძელდება“, — განაცხადა თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ.

ERASMUS MUNDUS-ი თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსტეტებსა და სამხრეთ კავკასიის უნივერსტეტებს შორის. პროგრამა საშუალებას აძლევს ყველა საფეხურის სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება ევროპაში აკადემიური სწავლით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ERASMUS MUNDUS-ის პროექტებში 2007 წლიდან ჩაერთო. ამ ხნის განმავლობაში საგანმათლებლო-გაცვლით პროგრამაში უკვე 200-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

„ქართულ-რუსული“ ლექსიკონის პრეზენტაცია თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ პრეზენტაცია 22 ოქტომბერს გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ენათმეცნიერები, თსუ სტუდენტები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„ქართულ-რუსული ლექსიკონი პირველი აკადემიური გამოცემაა საქართველოში, იგი ძალიან სერიოზული ნაშრომია რამოდენიმე მიზეზის გამო: პირველი — სალექსიკონო ერთეულების რაოდენობა 58 000-ზე მეტია, ასეთი მოცულობის ქართულ-რუსული ლექსიკონი დღემდე არ არსებობდა; მეორე — ეს არის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადებული ლექსიკონი, რომელიც ყველა თვალსაზრისით არის ნორმატიული როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ასევე, რუსული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. ანუ ეს ნორმირება, სტანდარტული ფორმების შესატყვისობა დაცულია და, შესაბამისად, მაღალი სანდოობის ლექსიკონია; მესამე — თავისთავად ნებისმიერი თარგმნითი ლექსიკონი თანამედროვე სამყაროში ყოველთვის აქტუალურია, ის უკავშირდება არა მხოლოდ ენების შესწავლას, არამედ სხვადასხვა კულტურების გაცნობას. ამდენად, ეს სამუშაო, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაიწყო მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, დასრულდა და დღეს უკვე საზოგადოებას შეუძლია იგი ნაბეჭდი სახით იხილოს. ვფიქრობთ, რომ მომავალში ამ ლექსიკონის ელექტრონული ვერსიაც შეიქმნება“, — აღნიშნა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლალი ეზუგბაიამ.

ახალი ლექსიკონი დღემდე არსებულ ლექსიკონებზე ბევრად ვრცელია და 58 500 ლექსიკურ ერთეულს მოიცავს.

ლექსიკონი ტექნიკურად მომზადდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, გარეკანის დიზანი შესრულდა თსუ-ის გამომცემლობაში. ლექსიკონი შედგება 772 გვერდისგან.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

INFO

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲣᲛᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ



ფულის შექმნა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებას უკავშირდება — საუკუნეების მანძილზე ფული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახლდათ. პირველი ფული ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში მოიჭრა და მან საქონელი შეცვალა. მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო კულტურული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი რომ იყო, ეს იმ ნუმიზმატიკური ძეგლებითაც დასტურდება, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ასე მდიდარია. კოლხეთი იმ მოწინავე სახელმწიფოთა შორის იყო, რომელთაც ფულის მოჭრა დაიწყეს. მეცნიერების მიერ აღმოჩენილი მონეტები, მედლები, ორდენები ისტორიის ფურცლების გაცოცხლების ერთ-ერთი საშუალებაა — სწორედ ამ საკითხებს შეისწავლის ნუმიზმატიკა, როგორც ისტორიის მეცნიერების დამხმარე დისციპლინა.

ნუმიზმატიკური მეცნიერების შესახებ რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი სხვადასხვა დროს უკვე გამოიცა, მათ შორის, „ქართული ნუმიზმატიკა“ (თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა), „ანტიკური საქართველოს მონეტები“ (გიორგი დუნდუა), „ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი“ და სხვა. 2013 წლის აპრილიდან კი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ ახალი სამეცნიერო პროექტის: „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგის“ შექმნა დაიწყო, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ თედო დუნდუას ინფორმაციით, ახალი სამეცნიერო პროექტის მიზანია — შეიქმნას ქართული ნუმიზმატიკის ნიმუშებისა და საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტების სრული მონაცემთა ბაზა, რომლის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი იქნება ინტერნეტით როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე, ნებისმიერი მსურველისთვის.

კატალოგი ჯერჯერობით შექმნის პროცესშია, თუმცა სამუშაოს ერთი მეოთხედი უკვე დამთავრებულია.

თედო დუნდუას ინფორმაციით, პროექტში, გამოცდილ სპეციალისტ გიორგი დუნდუასთან ერთად, ჩართულნი არიან ახალგაზრდა ისტორიკოსები, დოქტორანტები და მაგისტრანტები: ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნათია ფიფია, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი და ნინო ხარშილაძე. პროექტში მონაწილეობენ ასევე: მარიამ ნუცუბიძე, მარიამ ქარდავა და მაია აქუბარდია. ვებ-გვერდის შექმნა კი თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლების — გიორგი ჯავრიშვილისა და გიორგი ჩიტაშვილის დამსახურებაა.

„ეს მნიშვნელოვანი პროექტია იმ თვალსაზრისითაც, რომ ონლაინ ვერსია, რომელიც პირველად შეიქმნა, ნუმიზმატიკით დაინტერესებულ მკვლევარსა თუ მოყვარულს დაეხმარება სასურველი მასალის სწრაფად მოძიებაში“, — აღნიშნა თედო დუნდუამ.

ელექტრონულ ბაზას მრავალმხრივი ძიების ფუნქცია აქვს: მასში ინფორმაციის მოძიება რამდენიმე პარამეტრით არის შესაძლებელი, გარდა ამისა, მონეტის ყოველ ტიპს თანდართული აქვს სანიმუშო ფოტოსურათი. გარდა ამისა, ცალკე გრაფაში მითითებულია კონკრეტული მონეტების შესახებ არსებული სრული ბიბლიოგრაფია და კვლევებზე დაფუძნებული კომენტარები. ნუმიზმატიკური კატალოგი ჯერჯერობით 7 სამონეტო ჯგუფით არის წარმოდგენილი, თუმცა მუშაობა გრძელდება და კატალოგი სრული სახით წელიწადნახევარში იქნება მზად.

ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის ვებ-გვერდის პრეზენტაციაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ და პროექტის მონაწილეებმა თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, თსუ-ის ხელმძღვანელობას და თსუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტს. „ამგვარ პროექტებში ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობას და ხელშეწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალი კადრების აღზრდის თვალსაზრისით“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლატვიის პარლამენტის (სეიმის) ევროპულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზანდა კალნინა ლუკაშევიჩა ეწვია. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საუბარი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს შეეხო, რომელიც ვილნიუსში 28-29 ნოემბერს გაიმართება. აგრეთვე საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობასა და დოკუმენტის პარაფირების პერსპექტივაზე იმსჯელეს.

„მსგავსი შეხვედრების გამართვა ვილნიუსის სამიტის წინ ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ იმიტომ, რომ საშუალება გვაქვს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია — თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს სამიტი ლატვიისთვის. ამავე დროს, საშუალება გვაქვს საზოგადოებასთან კითხვა-პასუხის რეჟიმში განვიხილოთ საინტერესო თემები,“- განაცხადა ზანდა კალნინა ლუკაშევიჩამ.

თსუ-ის პროფესორი ალექსანდრე რონდელი ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის შემდგომ ლატვიის განვითარების თავისებურებებით და ამ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივით დაინტერესდა. „ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ლატვიამ დაინახა, თუ რამდენად სერიოზულად უყურებს საქართველოს საზოგადოება ევროპულ პერსპექტივას, რამდენად არის საქართველო ამისთვის მზად და რომ ეს გადაწყვეტილება მყარია. ლატვია ჩვენი მოკავშირეა და დღეს სეიმის წევრი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ჩვენ მზად ვართ ევროპისთვის. ამიტომაც დიდი ინტერესით ველოდებით ვილნიუსის სამიტს“, — აღნიშნა ალექსანდრე რონდელმა.

„საკმაოდ უშუალო და საინტერესო შეხვედრა იყო. დღევანდელ შეხვედრაზეც დაფიქსირდა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ალტერნატივა არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს. ვფიქრობ, კარგი შედეგების მოლოდინში ვართ“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია. ლატვიის პარლამენტის (სეიმის) ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ზანდა კალნინა ლუკაშევიჩამ თსუ-ის პროფესორებისა და დოქტორანტების შეკითხვებს უპასუხა.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ IT ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

სასწავლო წლის დასაწყისში ბაზების გაუმართაობის და აკადემიური რეგისტრაციის გავლის პრობლემის გამო სტუდენტური გამოსვლების პასუხად თსუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი შეიცვალა. რექტორმა ლადო პაპავამ პროტესტანტ სტუდენტებთან შეხვედრისას IT დეპარტამენტის ზოგიერთი თანამშრომლის პროფესიონალიზმის პრობლემა წამოსწია და მომავალში მსგავსი სირთულეების თავიდან ასაცილებლად მათ კონკრეტული ზომების მიღებას დაჰპირდა. IT დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელად ტარიელ ზარანდია დაინიშნა, რომლის მუშაობის მთავარი პრიორიტეტი სტუდენტების აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და თსუ-ის ადმინისტრაციის დეპარტამენტების მუშაობის ელექტრონიზაცია გახლავთ, რის უზრუნველსაყოფადაც სამუშაოები უკვე დაწყებულია.

— ბოლო რამდენიმე წელია თსუ-ში სტუდენტები ერთერთ აქტუალურ პრობლემად სასწავლო წლის დასაწყისში რეგისტრაციის გავლის პროცედურებს ასახლებენ. რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ ამ მხრივ?

— პირველ რიგში სტუდენტების რეგისტრაციის პრობლემა უნდა გადაიჭრას. ვერ დავარქმევდი ამას ბაზების პრობლემას, უფრო კორექტული იქნება თუ ვიტყვით, რომ წვდომის პრობლემაა. აქ რამდენიმე კომპონენტია თავმოყრილი: მათ შორის არის უშუალოდ რეგისტრაციის გავლის პროცედურები, ბაზის გაუმართავად მუშაობა და აპარატურული მოწყობილობები. ვფიქრობ, ამ ვითარების გამოსასწორებლად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. პირველ რიგში ვაახლებთ სერვერს, ასევე, პარალელურად ვაახლებთ ბაზის სისტემას. ვგეგმავთ რეგისტრაციის წესში გარკვეული კორექტივების შეტანასაც. შემდეგი სასწავლო წლის დასაწყისში რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს მინიმუმამდე შევამცირებთ და მათი სრულად აღმოფხვრის იმედიც გვაქვს.

— ანუ sms.tsu.ge-ს გამოცვლის აუცილებლობა ამ ეტაპზე არ დგას და შესაძლებელია რეგისტრაციის პრობლემები ამ პროგრამის დახვეწის შედეგად გამოსწორდეს?

— ახალი პროგრამის დანერგვა ყველაზე რთული პროცესია. ჩვენ ვეცდებით, რომ ის ტექნიკური პრობლემები, რაც ბაზას ჰქონდა, გამოვასწოროთ და პროგრამულად გავმართოთ. რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, რექტორისგან მიღებული გვაქვს დავალება — დაიწყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობის სრული ელექტრონიზაცია. იგულისხმება ყველა დეპარტამენტის დოკუმენტების ელექტრო-ბრუნვის უზრუნველყოფა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩავრთოთ მაგისტრანტები, დოქტორანტები. ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკა იქნება. ჩვენ ამ დიდი გამოწვევისთვის ვემზადებით და ამ ცვლილებების განხორციელებასთან ერთად სტუდენტებს სასწავლო მართვის პროგრამასაც ახალი სახით შევთავაზებთ.

— ხომ არ გეგმავთ საკადრო ცვლილებების გატარებას?

— ჯერჯერობით ერთადერთი ცვლილება შევიტანე შიდა ადმინისტრაციულ საკითხებში კომპიუტერული მომსახურების კუთხით. თუმცა ცვლილებებს კიდევ ვგეგმავთ. ვფიქრობ, რომ რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია დეპარტამენტის სტრუქტურასთანაც. უახლოეს მომავალში ახალ დებულებას წარმოვადგენთ, სადაც აღწერილი იქნება — როგორ წარმოგვიდგენია დეპარტამენტის მუშაობა და ფუნქციონირება.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვილნიუსის უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის, ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ლიტვის სეიმის წევრმა, ვილნიუსის უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა ბენედიკტას იოტკასმა და ლიტვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ხათუნა სალუქვაძემ 8 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე.

* * *

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრში თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლევენთ მურათ ბურჰანს შეხვდა. შეხვედრა თურქეთის ელჩის საქართველოში დიპლომატიური მისიის დასრულებას მიეძღვნა.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „თურქეთის ელჩი იუნუს ემრეს ცენტრის ეფექტურ მუშაობაში აქტიურად გვიჭერდა მხარს. მისი დამსახურებაა ის, რომ თურქული ენის შესწავლის სურვილს ბევრი სტუდენტი გამოთქვამს და, ის, რომ მრავალი გაცვლითი პროგრამა ამოქმედდა თსუ-სა და თურქულ უნივერსიტეტებს შორის“.

პროფილი

განწყობებისა და ურთიერთობების მკვლევარი

„თავდაპირველად დავამთავრე უცხო ენები, მერე შევედი ფსიქოლოგიურზე. ფაქტობრივად, ერთხელ შევიცვალე პროფესია. სკოლის დამთავრებისას ჩამოყალიბებული არ ვიყავი — რა მინდოდა, ოჯახმა კი – გინდა თუ არა, უმაღლესი უნდა დაამთავროო და, რადგან ზუსტად არ ვიცოდი, რა მინდოდა, გადაწყდა, რომ უცხო ენებზე ჩამებარებინა. უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა და ამ მუშაობაში აღმოვაჩინე, რომ არ მაინტერესებს ეს უცხო ენა, არ არის ჩემი მიდრეკილება. მივხვდი, რომ ფსიქოლოგობა მინდოდა. ავდექი და ჩავაბარე ფსიქოლოგიურზე, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გადავედი უკვე სოციალური ფსიქოლოგიის კათედრაზე", – ასეთი იყო ნანა სუმბაძის პროფესიული არჩევანი, რომელმაც უნივერსიტეტის პროფესორის წოდებამდე მიიყვანა. დღეს იგი 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია და მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა აქვს ჩატარებული.

ნანა სუმბაძეს საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტში შევხვდით, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალურ კვლევაზე — „მსოფლიო 2015 წლის შემდეგ" მიმდინარეობს მუშაობა. კვლევა მსოფლიოს 194 ქვეყანაში ტარდება და საქართველოში მას სწორედ საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი ახორციელებს. კვლევის მიზანი საკმაოდ ამბიციურია: მოსახლეობის ფართო და მაქსიმალური ჩართულობით გამოვლინდეს ის პრიორიტეტები, რომელიც მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის და რომელთა განვითარებაზეც 2015 წლიდან იმუშავებს გაერო.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2002 წელს დაფუძნდა და რომლის თანადირექტორიც ჩვენი რესპონდენტია. აქტიური კვლევითი საქმიანობის გარდა ქალბატონი ნანა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორია და უნივერსიტეტში უკვე 4 ათეული წელია საქმიანობს.

ნანა სუმბაძე

საქმიანი საუბარი

— კვლევის პირველი ეტაპი შეიძლება უკვე დასრულებულად ჩაითვალოს. რა სამუშაოები ჩატარდა ამ კვლევის ფარგლებში, როგორი შედეგები გამოვლინდა და რამდენად განსხვავებულია საქართველოს მოსახლეობის პრიორიტეტები მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობის პრიორიტეტებისგან?

— კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ეროვნული კონსულტაციები, მოვიარეთ მთელი საქართველო და 30 ფოკუს ჯგუფთან გავმართეთ შეხვედრა. მეორე ეტაპზე უნდა მოვამზადოთ ინტერვიუები მთავრობის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან. პირველი ეტაპის შედეგების შესახებ მალე სტამბულში გაიმართება რეგიონალური კონფერენცია, სადაც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას.

საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, მოსახლეობისთვის ყველაზე პრიორიტეტული კარგი განათლების მიღების შესაძლებლობაა. უკეთესი ჯანდაცვა მსოფლიოს მასშტაბით მეორე ადგილზეა, ჩვენთან კი მესამეზე აღმოჩნდა, სამაგიეროდ ჩვენთან დასაქმების პრობლემაა რიგით მეორე. ასევე, მსოფლიოსა და ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია პატიოსანი და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობა. თუმცა, მსოფლიოს ექვს პრიორიტეტს შორის აღმოჩნდა წყლის პრობლემა, რომელიც ჩვენთან ბოლოშია, ისე როგორც ეკოლოგიასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი. ჩვენთან ჰაერთან დაკავშირებით ნამდვილად ცუდადაა საქმე, მაგრამ ხალხში ეს პრობლემა გაცნობიერებული არ არის, რადგანაც სხვა პრობლემები აქვთ: როცა გშია ან გცივა, ტყის საფარის შენარჩუნებაზე არ ფიქრობ, მიდიხარ და ჩეხავ ხეს და ვერც აუკრძალავ ადამიანს ამის გაკეთებას.

— კვლევის შემდგომი ეტაპი რას გულისხმობს?

— ახალი ეტაპი ჯერ არ დაგვიწყია. შევხვდებით ექსპერტებს, მთავრობის წევრებს, ძირითად მოქმედ პირებს. საინტერესოა, რა პასუხი აქვს მთავრობას ამ პრობლემებთან დაკავშირებით. ხალხმა ამ ფოკუს ჯგუფებში პრობლემის გადაჭრის გზებიც შემოგვთავაზა. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ვიშრომეთ, არ გვქონდა დაღლის გრძნობა, იმდენად სასიამოვნო იყო მათთან ცოცხალი ურთიერთობები: ხალხს უხაროდა, რომ ვეკითხებოდით აზრს, ენთუზიაზმით მონაწილეობდა გამოკითხვაში, ცოცხალი ინტერესით საუბრობდნენ იმ საკითხებზე, რომელიც პრორიტეტულად მიაჩნდათ. ახლა ანგარიშს ვწერ: მთავარი რაც გამოჩნდა, ეს არის აქტივობის მოთხოვნილება. ძალიან ბევრი ამბობს, რომ მთავრობა კია ბევრ რამეზე პასუხისმგებელი, მაგრამ მათი მუშაობის დაბალი ტემპი ჩვენი ბრალია, რადგან ჩვენ არ მოვითხოვთ ისე, როგორც საჭიროაო.

— კარგი განათლების მიღება ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც ჩვენი, ისე მსოფლიოს მოსახლეობისათვის...

— ხალხი აცნობიერებს, რომ განათლება კეთილდღეობისთვის უმნიშვნელოვანესია, თუმცა, თუ მთავრობა ხელს არ გიწყობს, ვერაფერს გააკეთებ. განათლება და კარგი მთავრობა – ეს ყველაფრის საფუძველია. წყალი შეიძლება გამოიყვანო, ან არ გამოიყვანო, მაგრამ განათლებისა და კარგი მთავრობის გარეშე შორს ვერ წახვალ.

— კარგ მთავრობას რას ეძახიან?

— აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგად ესმის მოსახლეობას, რას ნიშნავს პასუხისმგებლობიანი და კარგი მთავრობა: ეს არის მთავრობა, რომელიც პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, რომელიც გისმენს, რომელიც ჯიბეში ფულს არ იდებს და ხალხს ახმარს, ასრულებს დანაპირებს...

„მსოფლიო 2015 წლის შემდეგ" პროექტის გარდა ნანა სუმბაძე რამდენიმე მნიშვნელოვან კვლევაში მონაწილეობს, თუმცა, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად არის გაცნობიერებული მეცნიერულ ანალიზსა და კვლევაზე დაფუძნებული დაგეგმარება, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, ფინანსების, დროისა და ადამიანური შესაძლებლობების უყაირათოდ გამოყენებამდე მიჰყავს როგორც მთელი სახელმწიფო, ისე ცალკეული დარგი და კონკრეტული ორგანიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ნანა სუმბაძე პოლიტიკური კვლევების პიონერადაც კი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში. უშუალოდ მისი დაგეგმარებით ჩაატარა პოლიტიკურმა გაერთიანება „მრგვალმა მაგიდამ" ელექტორატის განწყობების პირველი გამოკვლევა 1989 წლის ისტორიული არჩევნების წინ. ანალიზმა უჩვენა, რომ კომუნისტური პარტიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რაც შემდეგ არჩევნებმაც დაადასტურა. მას შემდეგ ნანა სუმბაძის ხელმძღვანელობით არაერთი კვლევა ჩატარდა, მათ შორის თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით, რომლებიც მასთან ეუფლებიან სოციალურ ფსიქოლოგიაში კვლევის მეთოდოლოგიას.

— უნივერსიტეტში თქვენი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ რას გვეტყვით?

— სამეცნიერო საქმიანობა უნივერსიტეტში არ გვაქვს და მე უკვე ვუთხარი ამის შესახებ ახალ რექტორს, როდესაც მასთან შეხვედრა გვქონდა. ეს არის ტრაგედია, რადგან არავითარი ფინანსური მხარდაჭერა საამისოდ არ არსებობს: ფურცელი, ფანქარი და ქსეროქსი მაინც უნდა გქონდეს, რომ ელემენტარული კვლევა ჩაატარო.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველ წელს მაინც ვახერხებთ ერთი-ორი კვლევის ჩატარებას სტუდენტებთან ერთად: მეთოდს შევარჩევთ, პრობლემას ერთობლივად დავსვამთ და დაგეგმვიდან ანალიზამდე მივყვებით ამ პროცესს. უკვე 40 წელია ვასწავლი, მაგრამ ყოველი ლექციის წინ მაინც ვკითხულობ, რადგან იგივეც რომ იყოს თემა, ერთი წლის შემდეგ ხელახლა გახსენება და მომზადება სჭირდება. ამას ყველაფერს დრო უნდა. შეუძლებელია, ასეთი დატვირთვით იმუშაო, მეცნიერებაზეც იფიქრო, სტუდენტებთან 1000-1500 კაციანი კვლევები აკეთო და თან კაპიკი ფული არ გქონდეს.

— თქვენ ჰოლანდიაში, ლეიდენის უნივერსიტეტში დაიცავით სადოქტორო. თქვენს სადოქტორო ნამუშევარზე რას გვეტყვით, ძალიან საინტერესო თემაა: „სოციალური ქსელი: მეგობრობა ქალებსა და მამაკაცებში".

— თემის საკვლევად საქართველო შეირჩა, თუმცა უნდა ითქვას, რომ განსხვავება თითქმის არ არის ამ მხრივ ევროპულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის.

გამოჩნდა, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა კაცებისა და ქალების სოციალურ გარემოს შორის: კაცების სოციალური გარემო არის ბევრად უფრო ღარიბი და ზედაპირული, ქალებისა კი გაცილებით მდიდარია. მათ ბევრად უფრო მეტი და ღრმა ურთიერთობები აქვთ. მეგობრობაც განსხვავებულია: ქალები მეგობრებთან ურთიერთობენ, უზიარებენ თავის გრძნობებს, ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც კაცების მეგობრობა ნიშნავს, რომ ერთად აკეთებენ რაღაცას – ვთქვათ, ფეხბურთს ერთად თამაშობენ, ერთად სვამენ და ა.შ. აღმოჩნდა ისიც, რომ ქალების გულის მესაიდუმლე არის ქალი მეგობარი და არა მამაკაცი, მაშინ როდესაც კაცის მესაიდუმლე არის ცოლი. ასეთი განსხვავებული სოციალური კავშირების გამო მამაკაცებისთვის განსაკუთრებული ტრაგედიაა უმუშევრობა და პენსიაზე გასვლა. კაცი ოჯახურ ურთიერთობებში, ბავშვების მოვლაში ნაკლებადაა ჩართული, მისთვის წამყვანია სამსახურებრივი ურთიერთობები, სწორედ ამიტომ სამსახურის გარეშე კაცი გარიყული აღმოჩნდება, მაშინ როდესაც ქალისთვის უმუშევრობა პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ქალის „მე"-ხატში მთავარია ოჯახი, მამაკაცისაში კი სამუშაო. ასეთი განსხვავებულობის გამო ქალის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მთელ მსოფლიოში უფრო მყარია, ვიდრე მამაკაცისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნანა მთლიანად ჩაფლულია საკუთარ საქმიანობაში და მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქმე და სამსახურებრივი ურთიერთობები, ჭეშმარიტი ქალური მონდომებით ზრუნავს შვილიშვილებზე და არც კულინარიის მიმართ არის გულგრილი. ალბათ, სწორედ ამის შედეგია მისი ახალგაზრდული ენთუზიაზმი და საოცარი უშუალობა.

მოამზადა ლელა კურდღელაშვილმა

ღია ჯარის დღეზე

„საბავშვო უნივერსიტეტი" ნიჭიერს სხვაგან არ გაუშვებს

შურთხია გეროშვილი

2 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტმა ღია კარის დღე გამართა. ღონისძიებას, რომელიც თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტისა" და საქართველოს საჯარო სკოლების თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, რესურს ცენტრების, საჯარო სკოლებისა და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„საბავშვო უნივერსიტეტის" მიზნები და სამომავლო პერსპექტივები დამსწრე საზოგადოებას თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის" კოორდინატორმა მარინა ლომოურმა გააცნო, რომელმაც სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის კავშირის აუცილებლობაზე ვრცლად ისაუბრა: „უნივერსიტეტის მთავარი მისია მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებაა, რასაც სკოლაშივე უნდა ჩაეყაროს საფუძველი. სასურველია, მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების დროს უკვე ჰქონდეს საბაზისო განათლება, თუმცა, ხშირად, ამ მიმართულებით ხარვეზებს ვაწყდებით. სწორედ ეს ვაკუუმი უნდა შეავსოს უნივერსიტეტმა. ჩვენი სალექციო კურსების დახმარებით მოსწავლეებში გაიზარდა დაინტერესება საბუნებისმეტყველო საგნებისადმი. წლების მანძილზე მიღებულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. აღსანიშნავია, რომ თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი" ევროპის საბავშვო უნივერსიტეტების (EUCU NET - the European Children's Universities Network) წევრი გახდა. ამ ორგანიზაციის მთავარი მესიჯი იმაში მდგომარეობს, რომ არ დაიკარგოს არც ერთი ნიჭიერი, მონდომებული მოსწავლე და მივცეთ მათ საკუთარი მომავლის თავისუფალი არჩევანის საშუალება. ამიტომ, ჩვენი ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ და მივცეთ მათ შესაბამისი განათლება", — აღნიშნა მარინა ლომოურმა.

ღონისძიებაზე „საბავშვო უნივერსიტეტის" ახალი პროგრამების: „გააცანი შენი პროფესია" და „თსუ დესპანი" პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც უკვე წარმატებით ხორციელდება „საბავშვო უნივერსიტეტის" პროექტის ფარგლებში. პროექტის კოორდინატორის გიორგი გრიგოლაშვილის თქმით, ასეთი პროექტები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სკოლებისა და უნივერსიტეტის ერთმანეთთან დაახლოებას. „სტუდენტები ხალისით ვმუშაობთ მოსწავლეებთან თბილისსა თუ რეგიონებში. ჩვენი აზრით, საჭიროა კოორდინირებული მუშაობაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან, რათა მომავალში ჩვენი საქმიანობა უფრო შედეგიანი იყოს", — განაცხადა გიორგი გრიგოლაშვილმა.

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მოსწავლეები საგანმანათლებლო პროცესებში იყვნენ ჩართულნი, ჰქონდეთ გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს უნივერსიტეტი და რას უნდა ელოდნენ მისგან. ეს მათ მომავალი პროფესიის არჩევაში და იმის გააზრებაში დაეხმარებათ, როგორი უნდა იყოს მათი ცხოვრება, რომელი უნივერსიტეტი უნდა აირჩიონ ან რატომ უნდა გააკეთონ არჩევანი ჩვენს უნივერსიტეტზე. ეს არის ძალიან კარგი ფორმა ბავშვების დაინტერესებისთვის".

„საბავშვო უნივერსიტეტი" ხელს უწყობს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ზოგად განათლებასა და საუნივერსიტეტო განათლებას შორის კავშირის დამყარებას. პროექტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას სწორი დამოკიდებულება შეიქმნან სხვადასხვა პროფესიების მიმართ, დაინტერესდნენ ფუნდამენტური მეცნიერებებით, შეექმნათ წარმოდგენა — რას ისწავლიან უნივერსიტეტში, როგორ განვითარდება მათი მომავალი და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები", — აღნიშნა პრეზენტაციაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა.

ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲐᲜᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ გიორგი წერეთლის სამუშაო კაბინეტში დრო დიდი მეცნიერისა და ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დამფუძნებლის გარდაცვალების დღეს — 1973 წლის 9 სექტემბერს გაჩერდა. კედლების ნაცვლად წიგნებით სავსე თაროები, გიორგი წერეთლის მამის, თავის დროზე ცნობილი ექიმისა და პუბლიცისტის ვასილ წერეთლის გადიდებული ფოტო და მასიური ხის მაგიდა ღამის სანათით... ოჯახის წევრები სათუთად უფრთხილდებიან სამუშაო გარემოს, რომელშიც ქართული ენისა და ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები გაკეთდა.



ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔ!

1940 წელს არმაზის გათხრებისას, რომელსაც უშუალოდ ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ექსპედიციამ სარკოფაგი აღმოაჩინა, რომლის ზედა ფილის შიდა კედელზე ორენოვანი წარწერა იუწყებოდა, რომ ეს სამარხი ფარსმან მეფის მცირე პიტიახშის ასულსა და ივერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის ეზოსმოძღვრის ძის მეუღლეს – ულამაზეს სერაფიტას ეკუთვნოდა. ორენოვანი წარწერა და გაუხსნელი სამარხი იმ პერიოდის უშუალო გზავნილი იყო, რომლის შესახებაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობები თითქმის არ მოიპოვებოდა. წარწერის ბერძნული ნაწილი ადვილად ამოიკითხეს, თუმცა უცნობი იყო, რომელ დამწერლობას განეკუთვნებოდა წარწერის მეორე ნაწილი. არმაზში აღმოჩენილი სტელის წაკითხვა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა გიორგი წერეთელმა შეძლო. წარწერა არამეული ენის მანამდე უცნობ დამწერლობაზეა შესრულებული. ეპიტაფიის წაკითხვამ და სამეცნიერო ანალიზმა დაადასტურა მანამდე არსებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებში არსებობდა ქართლის სახელმწიფო, რომლის მეფეც იბერიის მეფის ტიტულს ატარებდა. იბერიის სამეფო კარზე იყო პიტიახშისა და ეზოსმოძღვრის ინსტიტუტი, სხვადასხვა სახელმწიფო დოკუმენტებისთვის გამოიყენებოდა როგორც ბერძნული, ისე ადგილობრივი, ე.წ. არმაზული დამწერლობა, რომელიც ქართულ დამწერლობას ენათესავება. საბოლოოდ დადგინდა, რომ ქართლის სამეფო ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით უძველესი დროიდან არსებობდა. აღმოჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ახალგაზრდა მეცნიერს უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ, მიღებული წესის საწინააღმდეგოდ, ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი.

მოგვიანებით გიორგი წერეთლის სახელს დაუკავშირდა საქართველოს ისტორიისთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა: პალესტინის უდაბნოში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს აღმოჩენილი ქართული წარწერების ანალიზი და 430-455 წლებში პეტრე იბერის მიერ სინას უდაბნოში აშენებული ქართული ტაძრების ნაშთებისა და წარწერების დათარიღება. უმნიშვნელოვანესმა სამეცნიერო შრომებმა ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლას, რომელსაც სათავეში გიორგი წერეთელი ედგა, მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოუხვეჭა.

კაბინეტში, სადაც აკადემიკოსის ქალიშვილმა მაია წერეთელმა მიგვიღო, დღემდე იგრძნობა ასკეტური შრომისა და ქართული არისტოკრატიზმის სადა და დახვეწილი ატმოსფერო.

„საკმაოდ პატარა ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა. შესაბამისად, უფრო ბავშვური მოგონებები მაქვს. ძალიან ძნელია ასეთი პიროვნების შესახებ ლაპარაკი, რადგან მახსოვს იგი, როგორც მამა, რომელიც მაღმერთებდა, ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა... ძალიან თბილი ადამიანი გახლდათ და მასთან კონტაქტი ადვილი იყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ძალიან მკაცრი იერი ჰქონდა, რაც არ უნდა სერიოზული ყოფილიყო, თვალებში ყოველთვის ეშმაკური შარმი უთამაშებდა.

ყოველთვის ღამე მუშაობდა. სახლში ყველაფერი იმაზე იყო აწყობილი, რომ ხელი არ შეშლოდა და ხმაური მის კაბინეტში არ შესულიყო. ღამით, სადღაც 11-10 საათისთვის დაჯდებოდა ხოლმე და დილამდე მუშაობდა. დილით 12 საათისთვის მიდიოდა სამსახურში“, – იხსენებს მაია წერეთელი, რომელიც აკადემიკოს გიორგი წერეთლის შესახებ ჩვენთან სასაუბროდ სიამოვნებით განეწყო.

— აღმოსავლეთმცოდნეობას საქართველოში ბატონმა გიორგიმ ჩაუყარა საფუძველი. ეს ძალიან ძლიერი მიმართულება იყო და, რამდენადაც ვიცი, ითვლებოდა, რომ მთელს საბჭოთა სივრცეში ყველაზე სერიოზული სკოლა გვქონდა...

— უფრო ადრე გიორგი წერეთლის მასწავლებლის ივლიანე კრაჭკოვსკის ხელმძღვანელობით ძალიან ძლიერი სკოლა იყო ლენინგრადში, მაგრამ კრაჭკოვსკის გარდაცვალებისა და მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთელი საქართველოში ჩამოვიდა და საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლას, ცენტრი აქეთკენ გადმოვიდა. დღევანდელობისგან განსხვავებით, იმ პერიოდში უფრო მეტად ძველი აღმოსავლეთი და მასთან ქართული სამყაროს კავშირები აინტერესებდათ. ამ მიმართულებით ახლა რა ხდება, არ ვიცი. გიორგი წერეთლის ბოლო ნაშრომი იყო „მეტრი და რიტმი „ვეფხისტყაოსანში". მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომია, რადგან გიორგი წერეთლმა მიაგნო და გააანალიზა რუსთაველის ლექსის სტრუქტურა. მანამდე რუსთაველის ლექსის ერთეულად მიიჩნეოდა ტერფი, ზომად კი — ქორე, შესაბამისად, მკვლევრები და მთარგმნელებიც ცდილობდნენ რუსთაველის ლექსი როგორმე ძველი ბერძნული რიტმების ჩარჩოებში მოექციათ. გიორგი წერეთელმა აღმოაჩინა, რომ „ვეფხისტყაოსანში" გამოყენებულია ე.წ. „ოქროს კვეთის" იდეალური პროპორცია, რომელიც პითაგორამ ჩამოაყალიბა და რომელსაც აღორძინების ხანის ევროპელი ფერმწერები და ხელოვანები იყენებდნენ. ამაზე დღეს ძალიან ცოტას ლაპარაკობენ, რადგან თვითონ უკვე აღარ იყო ცოცხალი, რომ გაეძლიერებინა ეს მიმართულება, თუმცა, ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი საკითხია რუსთაველის პოემის მნიშვნელობის გასაგებად.

— თუ ჰქონდა სხვა მნიშვნელოვანი მეცნიერული ჩანაფიქრი, რომელთა განხორციელებაზეც სიცოცხლის ბოლოს მუშაობდა?

— ძალიან ბევრი გამოუქვეყნებელი ნაშრომი დატოვა, რომლებზედაც ამდენი წელია მუშაობენ ინსტიტუტში. რაღაცა გაკეთდა, რაღაცა არ გაკეთდა. ეს დასრულებული შრომებია, თუმცა იმ სახით ვერ გამოვა, როგორც დატოვა, მათ გამოსაცემად დამუშავება სჭირდებათ. ლაპარაკია 5-6 შრომაზე, რომელიც დღემდე ელის გამოქვეყნებას.

* * *

მომავალი წლის 21 ოქტომბერს გიორგი წერეთლის დაბადებიდან საიუბილეო 110 წელი შესრულდება. როგორ ემზადება ქართული სამედიცინო საზოგადოება და მისი მშობლიური უნივერსიტეტი იუბილის აღსანიშნავად, მეცნიერის ქალიშვილისთვის უცნობია, თუმცა, ჩვენთან საუბარში მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რესტავრაციის შემდეგ შენობაში აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აუდიტორია ვეღარსად ნახა, აუდიტორიის გაუქმების მიზეზები კი ადმინისტრაციაში საკმაოდ ბუნდოვნად განუმარტეს.

მოამზადა **ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ

ᲓᲠᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲐ

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

სკოლაში სწავლის დროს მისი ინტერესი ჰუმანიტარული საგნებისადმი იყო მიმართული. მაგრამ მას შემდეგ, რაც X კლასში „საზოგადოებამცოდნეობის" შესწავლა დაიწყო, ინტერესებიც შეეცვალა და მომავალი პროფესიაც აირჩია.

შემდგომ იყო ასპირანტურაში სწავლის პერიოდი და ერთწლიანი სტაჟირება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რასაც მოჰყვა საკანდიდატო დისერტაციის დაცვა 1983 წელს.

მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად დაიწყო და სამეცნიერო მუშაობის ყველა საფეხური გაიარა. ამავე პერიოდში სწავლობდა მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1992 წელს.

1995-96 წლებში ფულბრაიტის გრანტით მიწვეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, ძირითადად, იკვლევდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკის სინამდვილეს.

1996 წელს დაინიშნა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2005 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორია.

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

— ბატონო თეიმურაზ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი თქვენთვის მშობლიურია, მაგრამ სხვაა, როცა სტუდენტი ხარ და სხვა — როცა პედაგოგი. როგორი კოლექტივი დაგხვდათ ფაკულტეტზე, როცა დაბრუნდით?

— ამ კოლექტივთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ. ფაქტობრივად, ამ კორპუსში გავიზარდე და, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ცვალებადობის მიუხედავად, აქ მუშაობა საპატიოა.

სხვათა შორის, ამ სემესტრში პირველკურსელებს ვასწავლი და სემესტრის დასაწყისში ჩავატარე გამოკითხვა — რამდენად კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩააბარეს. ძალიან კარგი შედეგები მივიღე — უმრავლესობამ დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას.

— თქვენ ამერიკელ სტუდენტებთანაც გქონდათ შეხება. დიდია სხვაობა მათსა ჩვენს სტუდენტებს შორის?

— მაშინ, როცა ამერიკაში ვიყავი, სხვაობა დიდი იყო არა მხოლოდ სტუდენტთა ინტერესებს, არამედ ამერიკის და საქართველოს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებს შორისაც. დღეს ეს სხვაობა ძალიან მცირეა და არც სტუდენტები ჩამორჩებიან მათ. ვვარაუდობ, ცოტა ხანში ეს მცირე განსხვავებაც აღარ იქნება.

— როგორ ლექტორი ხართ – მკაცრი, მომთხოვნი თუ ლოიალური?

— ეს ალბათ უფრო სტუდენტებს უნდა ვკითხოთ. თუმცა მაქვს ჩემი მოსაზრება — ვფიქრობ, რომ სტუდენტის საგნით დაინტერესება და მისი ლექციაზე აქტიურობა ლექტორზეა დამოკიდებული. თუ ლექტორი თავის დონეზეა და საინტერესოდ კითხულობს, მაშინ სტუდენტების უმრავლესობა ჩართულია ლექციის პროცესში.

— ახერხებთ, რომ ლექციაზე, გარდა ეკონომიკისა, სტუდენტებს სხვა თემებზეც ესაუბროთ? მხოლოდ ლექტორი ხართ თუ პედაგოგიც?

— ეკონომიკა ყველას სჭირდება და მასთან შეხება ყველას აქვს. ამიტომ მხოლოდ ეკონომიკას არ ვასწავლი. ხშირად, კურსიდან და ლექციიდან გამომდინარე, წამოჭრიან საკითხებს და ვმართავთ დისკუსიას. ვსაუბრობთ, მათ შორის, ისეთ თემებზეც — თუ როგორ გადაწყვიტონ საბიუჯეტო პრობლემები ნაკლებშემოსავლიან ოჯახებში და ა.შ.

— თავად თუ გადგებათ ოჯახში ეკონომისტობა, როგორ განკარგავთ ოჯახის ბიუჯეტს?

— ეკონომიურად...

— გარდა ეკონომიკური ლიტერატურისა, რა ინტერესები გაქვთ? რას კითხულობთ ხშირად?

— მიყვარს პოლიტიკური და ისტორიული ლიტერატურის კითხვა. XX საუკუნის ერთერთმა ცნობილმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა ეკონომიკის სირთულე შემდეგი გარემოებით ახსნა — ეკონომისტმა მხოლოდ ეკონომიკა კი არა, ისტორია, რელიგია, ენათმეცნიერებაც უნდა იცოდეს, რადგან ესენი თავის თავში ეკონომიკას შეიცავენ. ამდენად, კარგი მეცნიერი რომ იყო, არ არის საკმარისი მხოლოდ ეკონომიკური ლიტერატურის გაცნობა. ყველა ეკონომისტი და, განსაკუთრებით, თეორეტიკოსი დაინტერესებული უნდა იყოს ფართო დიაპაზონის ცოდნის მიღებით.

— სპორტული თუ ხართ?

— ბავშვობაში ჩოგბურთს ვთამაშობდი და მერეც კარგა ხანს გამყვა მისი სიყვარული. ახლა დიდ დროს ვეღარ ვუთმობ სპორტის ამ სახეობას, თუმცა ჰობის დონეზე მაინც ჩოგბურთით ვარ გატაცებული. უნდა აღვადგინო ეს ყველაფერი.

— ეკონომიკის ფაკულტეტზე ტრადიციულად კარგი თამადები არიან, თქვენ მისდევთ ამ ტრადიციას?

— არა, ეს ჩემი ჰობი არ არის..

— არც სვამთ?

— არა.

— რა რჩევას აძლევთ სტუდენტებს იმისთვის, რომ თავი დაიმკვიდრონ ცხოვრებაში?

— ვინაიდან ისინი სტუდენტები გახდნენ, ესე იგი, მათი პრიორიტეტი არის სწავლა და განათლების მიღება, ამიტომ სტუდენტური წლები, როცა ენერგია მოჭარბებულია და მეხ-

ᲒᲔ-16 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

მეათე გვერდიდან

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲓᲐᲔᲑᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ „ᲨᲐᲢᲝ-ᲛᲣᲰᲠᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲬᲣᲠᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ. ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲪ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡᲐᲪ ᲔᲖᲘᲐᲠᲜᲔᲑ: ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲐᲕᲚᲔᲡ ᲩᲣᲠᲩᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲓ ᲛᲝᲓᲣᲦᲚᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲘ, ᲓᲐᲐᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲧᲘ ᲓᲐ ᲗᲝᲜᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲝᲗᲔᲑᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲛ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲙᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲔᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ.



ᲐᲠᲧᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲢᲠᲝᲡᲐᲔᲥᲢᲘᲕᲐ: ᲛᲣᲰᲠᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲣᲤᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲐᲢᲝ ᲛᲣᲰᲠᲐᲜᲨᲘ

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

1/11
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲚᲐᲤᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2/11
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲠᲐᲭᲣᲚᲘ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

3/11
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

4/11
ᲚᲐᲚᲘ ᲥᲔᲪᲑᲐ-ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ᲜᲐᲜᲐ ᲢᲝᲜᲘᲐ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ᲒᲣᲚᲜᲐᲖ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

5/11
ᲔᲗᲔᲠ ᲦᲕᲘᲜᲔᲠᲘᲐ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

8/11
ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

9/11
ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

10/11
ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

11/11
ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

13/11
ᲔᲙᲐ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ, თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი;

15/11
ᲡᲘᲛᲝᲜ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲙᲕᲐᲢᲐᲨᲘᲫᲔ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

16/11
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ᲓᲠᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲐ

მეთხუთმეტე გვერდიდან

სიერებაც მეტადაა გახსნილი, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ცოდნის მიღებისთვის. დრო ყველაზე დიდი საგანძურია. შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ ნაკლები დრო შეიძლება დარჩეთ და ამიტომ ეს წლები პროდუქტიულად უნდა გამოიყენონ, რათა მიიღონ ის ცოდნა, რასაც უნივერსიტეტი და თვითგანათლება იძლევა.

— ***შვილებს რა რჩევას აძლევთ? როგორ წარმოგიდგენიათ მათი ადგილი ცხოვრებაში?***

— აბსოლუტურად იგივეს ვეუბნები, რასაც სტუდენტებს...

— ***რა არის თქვენთვის უნივერსიტეტი?***

— უნივერსიტეტმა მე ცხოვრებაში გზა გამიკვალა.

აქ ადამიანი უნივერსალურ ცოდნას უნდა იღებდეს და ამას მხოლოდ ლექტორი კი არ უნდა აკეთებდეს, თავადაც უნდა ცდილობდეს განათლების მიღებას. დასავლეთში ვიწრო სპეციალობაში უფრო ძლიერები არიან და ეს სწორია, რადგან ადამიანი თავის სპეციალობაში პროფესიონალი უნდა იყოს, მაგრამ დღევანდელი ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ერთი სპეციალობით შემოფარგვლა, თუ სხვა სფეროში მინიმალური ცოდნა მაინც არ გაქვს, ნამდვილად არასასურველია. უნივერსიტეტის სტუდენტი კარგ სპეციალისტადაც უნდა ჩამოყალიბდეს და ცოდნის საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს და ფასეულობებსაც უნდა ფლობდეს.

— ***6 ნოემბერს თქვენი დაბადების დღეა. აპირებთ ტრადიციული სუფრის მომზადებას?***

— ამ ბოლოს დროს იშვიათად აღვნიშნავ მას. ძირითადად უახლოესი მეგობრები მილოცავენ. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი დღეა... მეგობრები კი ცხოვრების ყველა ეტაპიდან წამომყვა, სკოლიდან, უნივერსიტეტიდან, ასპირანტურიდან...

— ***რა არის თქვენი სათქმელი, რაც გინდათ უთხრათ საზოგადოებას?***

16/11
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

— უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს — ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი და კარგი კოლეგა. დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავს გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას და მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტი ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲯᲣᲠᲮᲐᲫᲔ
ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲜᲐ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲖᲐᲖᲐ ᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
ᲠᲘᲡᲛᲐᲒ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ, ᲘᲐᲒᲝ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲮᲐᲓᲣᲠᲘ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲐᲓᲝ ᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲟᲐ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ, ᲜᲘᲜᲝ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ, ᲓᲘᲐᲜᲐ ᲫᲘᲫᲘ�გᲣᲠᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 11ᵃ
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62